ეროვნული ბიბლიოთეკა
309
002
w2

# ქართული









ისინი ერთი
თაობისანი იყვნენ



**გურამ დოჩანაშვილი**
დედე

**რომი შნაიდერი**



**გიკა მირზაშვილი**

**ციალა არდაშელია –**
ესე ამბავი მგლისა და ჯიხვისა,
ანე "მგელჯიხვიანა"

1309
2002
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ა რ ჩ ე ვ ი :

ისინი ერთი თაობისანი იყვნენ ........................ 4

გურამ დოჩანაშვილი ........................................ 6
**დუდუ**

გუჩა ქვარაცხელია ........................................... 9
**ამ ცხოვრებას ვერავისთან გაასაჩივრებ**

გიქა მირზაშვილი ............................................ 12

უნგრეთი-საქართველო ................................... 14

ფოტო სტუმარი ............................................... 16
**ეკა მამალაძე**

ლელა ქულიანი ................................................ 18
**ჩანახატი**

მაია გოგორიშვილი ......................................... 20
**რომი შნაიდერი**

ვასილ გვეტაძე ...............................................26
**ლექსები**

ციალა არდაშელია ........................................ 28
**ესე ამბავი მგლისა და კრავისა, ანუ „მგელკრავიანა“**


4

6

9

12

18


20


26

ეროვნული
ბიბლიოთეკა









# ისინი ერთი თაობისანი იყვნენ

## გალაკტიონ ტაბიძე

### ქარი ჰქრის

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის...
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სად ხარ, სად ხარ, სად ხარ?
როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
ვერ გპოვებ ვერასდროს... ვერასდროს!
შენი მე სახება დამდევს თან,
ყოველ დღეს, ყოველთვის, ყოველგან!..
შორი ცა ნისლიან ფიქრებს სცრის...
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის!..

1924 წ.

## გიორგი ლეონიძე

### ყივჩაღის ჰაიმანი

... ერთი მეც გადავუქნ
წვერიმც ვუწვდინე მიწას
მუხრანუ

ყორღანებიდან გნოლი გაფრინდა,
ყაზარდოს ველი გადაიარა,
ისევ ალოვსდექი!
მუხრანის ზოლოს
ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს.

ქსანზედ, არაგვზედ ისევ ჰყვავიან
ხოდაბუნები თავთუხებისა,
შენი ტუჩებიც ისე ტკბილია,
როგორც ზადაგი დადუღებისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოხბობას გნახე, მიწურვილო იყო,
როცა ზაფხული რუსთაველისა,
ნეტამც ზადაგი არ დამელია
და იმ დღეს ხმალი არ ამელესა!

ტრამალო და ტრამალო გამოგედევნე,
შემოვამტვერე გზები ტრიალი,
მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები,
ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი!

მაგრამ თვითონაც დაილეწება,
დაზადებულა ვინც კი ყივჩაღად;
მუზარადიან შენს ქმარს შემოვხვდი,
თავი მუხზე გადამიჩეხს!

მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას,
ვეღარა გხედავ, სისხლით ვიცლები...
როგორც საძროხე ქვაზე ოხშივარი,
ქართლის ხეობებს ასდით ნისლები...

მოდი!
გეძახი ათას წლის მერი,
დამნაცრობ ელვამ შენი ტანისა;
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა!..

1928 წ.

## ტიციან ტაბიძე

### რია-რია

მივალ, მივდივარ და მივიმღერი,
თან საქართველოს მიმაქვს ოცნება;
ვარ გაუთლელი ლერწამის ლერი,
ტუჩმიუდებლად რომ იკოცნება.

ათასი გული ერთად რომ მქონდეს,
ათას გულს ერთად ამოვიჭრიდი,
ოღონდ, ლამაზო, არ დამიღონდე,
მახსენე კაცად, როცა დაგჭირდე.

ათას სალამურს გააქვს გუგუნი,
ერთად ამოერდნენ გურიის მთები,
თუ ამ სიმღერით სიკვდილს მარგუნებ,
არც სიკვდილისთვის დაგემდურები.

ერთ საწყალ პოეტს ამაზე მეტი,
სინდისით აღარ მოეთხოვება,
დამადეთ გულზე ტყვია ცამეტი,
მაგ თქვენი მამის სულის ცხონებას.

1927 წ.

## პაოლო იაშვილი

### პოეზია

გაგიჟება სჯობს, თუ გათავდა სიტყვის მადანი
და თვალთა დათხრა, თუ მზის ქებით ვეღარ დახვდები,
ლექსო, გულიდან ხორცად რომ ხარ გამონატანი,
თუ უნაპიროდ, სამუდამოდ არ გაჩაღდები.

არი მკვლელობა, არი ომი, არი ხანძარი,
მიწისძვრა, ქარი, ტყეში ყოფნა მარად თულებად,
მაგრამ არ არის ტანჯვა უფრო უზარმაზარი,
როგორც პოეტის შთაგონებით დასნეულება.

დალის ქალაქში ზევრის მსგავსი ჩემი სხეული
და სახლი ამბობს: „ეს კაცია ლექსის მწერალი“,
მაგრამ ვინ იცის, რა ცეცხლშია გამოხვეული
ეს ჩემი ტვინი, დასაქცევი, ტვინი ვერანი.

რამდენი თვალი უნდა მქონდეს, რომ ყველა ვნახო,
რამდენი გული უნდა მედგას, რომ ვიგრძნო ყველა,
რამდენი სახე მე თვით უნდა გავაპარტახო,
რომ ერთი ლექსი დამრჩეს წმინდა, როგორც პეპელა.

შემომახურებს სიკვდილივით სიტყვა კვიატი,
და სისხლი, აზრი, სული იქცნენ იმის მონებად,
გავიდა ღამე, მოასკდება კარს განთიადი,
აღარ ხარ კაცი, აღარც ჩონჩხი, ხარ მოგონება.

რამდენი ლექსი დავიწერე, იმდენი წელი
ჩამოეწერა ჩემს ცხოვრებას ვით ადამიანს,
და თუ ეს ლექსი უნდა იყოს უკანასკნელი,
მაშინ ეს ძორი ყვავებისთვის გასატანია.

1926 წ.

22723

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზურამ დოჩანაშვილი

## დუდუ

გარეთ ნათურებით განათებული სიბნელეა. ფანჯრიდან იყურები. არც იცი, გინდა თუ არა ქუჩაში გასვლა.

ქუჩაში ღამეა. სიო უბერავს, ნათურას არწევს და ჩრდილებს თითქოს ფეხი უსხლტებათ. მობარბაცე ჩრდილებს უყურებ და მთვრალები გახსენდება. იღიმები. მერე ბრაზდები - რამდენჯერ გადაწყვიტე, არ შეადარო ერთმანეთს არაფერი. ჩრდილებზედაც ბრაზდები და ნათურას უყურებ. თვალები გტკივა, სხვაგან იხედები, მაინც ნათურას ხედავ. ოთახში დადიხარ, ათვალიერებ ნაცნობ საგნებს და გრძნობ, რომ საშინლად მოგბეზრებია ოთახში ყოფნა. კარს აღებ, გარეთ გამოდიხარ.

ქუჩაში თურმე წვიმს. წვიმს ძალიან წვრილად. ქუდს იხდი, თავს უკან აგდებ, წვეთები სახეზე გეცემა და აუჩქარებლად მიაბიჯებ, სწრაფად ატრიალებ გვერდზე თავს და ხედავ, რომ ვილაც გამვლელი გაკვირვებით გიყურებს, ქუდს ჭმუჭნი, მერე იხურავ, გზას განაგრძობ.

სახლებს მიჰყვები. კედლებშუა მიმავალი, შეზღუდულობას გრძნობ და კუნთებს ბერავ. გინდა, რომ ირგვლივ არ იყოს არაფერი - არც სახლები და ხეები, გინდა, რომ იყო ისეთ ადგილას, სადაც შეგიძლია თვალდახუჭულმა იარო. როგორც ყოველთვის, ოცნებას შენდაუნებურად იწყებ: დიდი ველია წინ, ბორცვებიანი. თვალდახუჭული მიაბიჯებ. ველი ბორცვიანია და თვალდახუჭულს გეჩვენება, რომ მიწა იზნიქება. ბორცვზე ადიხარ, მიაბიჯებ და გრძნობ, რომ ფეხქვეშ მიწა გეცლება. დაცემას უცდი, ეცემი, ტკივილს გრძნობ მუხლში, მაინც არ ახელ თვალებს. დგები, მიაბიჯებ ისევ. მუხლი გტკივა, მაგრამ გიხარია, რომ შეგიძლია დიდხანს იარო ასე თვალდახუჭულმა და იცი, რომ არაფერს დაეჯახები.

ქუჩაში სახლებია და ხეები. გახსენდება გამვლელი, რომლისაც მოგერიდა. ბრაზდები. იხედები. გზაჯვარედინზე ჩამოკიდებულ შუქნიშანს უყურებ. ჯერ მწვანე სინათლეა, მერე ყვითელი, მერე წითელი, მერე ისევ მწვანე. დამცინავად უყურებ შუქნიშანს - იგი გავლას უკრძალავს მანქანებს, რომლებიც არ ჩანან: ქუჩა ისეთი ჩუმია, მოგონებებში წასულა თითქოს და ბებერ კაცს ჰგავს, მაგრამ მაინც აქვს სათამაშო - შუქნიშანი. სათამაშო გინდება და ქუჩის გშურს.

ისევ ცრის. ისეთი პატარა წვეთები გეცემა კანტიკუნტად, რომ თავშეკავებული ტირილი გახსენდება. გაურკვეველ კაცსაც ადარებ წვიმას.

სხვა რამეზე ფიქრი გინდება. გსურს, იფიქრო იმაზე, რაც გსიამოვნებს და გახსენდება, რომ ჩქარა წახვალ სოფელში დეიდასთან და რომ მოგწონს შენი მეტსახელი - დუდუ.

ძველებურად წვიმს. ბრაზდები, პატარა ხეს ხელს ჰკიდებ და ანჯღრევ. დიდი წვეთები სცილდებიან ფოთლებს და ხმაურით გეცემიან. კისერში დიდი წვეთი გივარდება, ცხვირსახოცით იმშრალებ, იღიმები.

*

-დუ-დუ-უ! - ეძახის დეიდა.

დუდუ მიწაზე ზის და ხატავს.

- რა იყო, დეიდა?

- მოდი, შვილო, ისადილე!

- ეხლავე მოვალ.

დუდუ ეზოს ხატავს. ეზოს ღობე აქვს შემოვლებული. დასიცხული ღორები თვალებმილულულნი ყრიან ხეების ჩრდილში. ხბო ბალახს ძოვს. ქათმები ყველგან ეძებენ საკენკს.

დუდუ ხატავს: ხეები იზნიქებიან ნაყოფის სიმძიმით. ღობე გარღვეულია. კრუხის ირგვლივ დაფარფატებენ ახლადგამოჩეკილი წიწილები.

დუდუ აღარ ხატავს და ჭას უყურებს. ჭა მიწაში კისრამდე ჩაფლულ გოლიათს ჰგავს. წყალი ისე ღრმადაა ჭაში, რომ მის საიდუმლოებას გავს. წყლის ამოღება ადვილია ჭიდან და დუდუ ჭას გულუბრყვილო გოლიათს ადარებს. იღიმება და ხატვას განაგრძობს: ორ ვაშლის ხეს შორის ჰამაკი ჩნდება. დუდუს უნდა, რომ ჰამაკი ჩაწყვეტამდე იყოს დამძიმებული, და შიგ მსუქან კაცს აწვენს. კაცს ცალი ხელი თავქვეშ აქვს ამოდებული, მეორეთი ვაშლს მოსაწყვეტად ეპოტინება.

- დუ-დუ-უ, - ეძეხის დეიდა - მოდი, ბიჭო, გაცივდება...

- ეხლავე, დეიდა, ეხლავე...

დუდუ დგება და ჭასთან მიდის. შიგ იხედება. წყლის ზედაპირზე თავის თავს ხედავს. წყალი რგოლებად იშლება ზედაპირზე და სახე ქანაობს. დუდუ დაკვირვებით უყურებს ორეულს. სახე თრთის, იწელება, მერე სულ იშლება, ისევ ჩნდება და წყლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედაპირზე ცახცახებს. უმოძრაოდ მყოფ დუდუს სიამოვნებს მოქანავე ორეულის მოძრაობა. სახე თრთის და იღიმება.

- დუ-დუ-უ! რა დაგემართა, ბიჭო...
- მოვდივარ, დეიდა...

*

სოფლელებს უყვართ დუდუ.

- როგორა ხარ, ა?
- კარგად, თქვენ როგორ, ხომ კარგად?
- არა გვიშავს. რატომ მოგვანატრე თავი?
- რა ვიცი, არ მეცალა.
- აღარ ჩამოდიხარ...
- ხომ ჩამოვედი, - იღიმება დუდუ. სოფლელებიც უღიმიან.
- დუდუ, - ეუბნება დიდკუნთება ბიჭი.
- რა?..
- რაღაც უნდა გთხოვო.
- რა?
- ვერ მიხვდი?
- დაგხატო?
- ხო. ხომ დამხატავ?
- დაგხატავ, აბა რა...
- მეც, რა...
- მეც, რა, დუდუ...
- ყველას დაგხატავთ, - იღიმება დუდუ, - ვისგან დავიწყო?
- ჩემგან, რა... - ამბობს დიდკუნთება.

დუდუს ქაღალდი და ფანქარი გამოაქვს. ქაღალდს მუყაოს ნაჭერზე ამაგრებს. ბიჭი სახელოებს იკაპიწებს და მკლავებს ბერავს.

- მარტო სახე დაგიხატო, თუ...
- მთლიანად დამხატე.

დუდუ ხატავს. დაბერილ კუნთებზე უყურებს და ღიმილით ხატავს. უფრო დიდ კუნთებს უკეთებს, უფრო განიერ მხრებს.

- დაგხატე.
- აბა?

ბიჭი ნახატს უყურებს და სიამოვნებს.

- დიდი მადლობა, დუდუ...
- არაფრის. ეხლა რომელი დაგხატოთ?
- მე, - ამბობს გრძელცხვირა ბიჭი.
- დუდუ ხატავს - ცხვირს ოდნავ უმოკლებს, დავარცხნილ თმებს ყურადღებით უყოფს შუაზე.
- დაგხატე.
- აბა?

გრძელცხვირა ნახატს უყურებს და სიამოვნებს.

- დიდი მადლობა, დუდუ...
- არაფრის. ეხლა რომელი დაგხატოთ?
- მე, - ამბობს ჭორფლიანი.

დუდუ ხატავს...

*

დუდუს ძალიან უყვარს დილა.

იღვიძებს, იხედება, სიმწვანეს გრძნობს, თვალებს ახამხამებს და დაკვირვებით იყურება. სიმწვანე შორს მიდის და დუდუ იღიმება - ეს ხომ ცაცხვია, სურნელოვანი ცაცხვი. სხეული მოთენთილია და მაინც დასვენებული. ლოგინში ჯდება და თვალებს იზელს. დუდუ სასიამოვნოდ გაბრუებულია, ისევ ძილი უნდა და იღიმება. დეიდა ფეხისწვერებზე გამოდის ოთახიდან, ლოგინზე წამომჯდარს ხედავს და ქუსლებზე ეშვება.

- გაიღვიძე?

დუდუ ამთქნარებს და თავს აქნევს.

- ადექი, ვისაუზმოთ.

დუდუ საბანზე ამოქარგულ ყვავილს უყურებს.

- ადექი, შე ზარმაცო, შენა...

დუდუ რბილი ბალიშის ძახილს გრძნობს და ეზარება ადგომა. ზარმაცად ათვალიერებს ყველაფერს. ეზოში იყურება.

ლობე. ხეები და ფოთლები. ფოთლები და ვაშლები.

ჭა - გულუბრყვილო გოლიათი.

ქათამი წყალს სვამს და წამდაუწუმ ცისკენ იხედება. გაჯგიმულ საფრთხობელაზე შესკუპულა ბეღურა.

ყველაფერი იწოვს ბურანს. ბურანი ქრება.

- პირი დაიბანე, ბიჭო...

დუდუ დგება. იზმორება, ბურანი ბრუნდება.

ცივი წყლის სახეზე შესხმა სილის გაწვნას ჰგავს.

დუდუ ფხიზლდება.

*

დეიდა ვერ ხედავს და სარკეში იყურება.

დეიდას უყურებ და ფიქრობ. ის ვერ გხედავს, ორივე ხელით უკავია სარკე და იყურება. ნაღვლიანად უყურებ დეიდას, რომელიც ხანში შევიდა, ნაოჭები მოემატა. გახსენდება, რომ ნაოჭებს მაშინ ამჩნევენ სარკეში, როცა სახეს ჩრდილი ეცემა. დეიდა ფანჯრის წინ დგას და სარკეში იყურება. გახსენდება, რომ ლამაზტანიანებს დიდი, გრძელი სარკეების წინ უყვართ ტრიალი, ლამაზსახიანები ჯიბის სარკეებს ეტანებიან. შენ საერთოდ არ გიყვარს სარკე. იმიტომ კი არა, რომ მახინჯად თვლი თავს, ისე უბრალოდ არ გიყვარს.

გბეზრდება სარკეებზე ფიქრი. - გინდა დაგხატო? - ეკითხები დეიდას. დეიდა ყოყმანობს. უღიმი და სთხოვ, რომ გაუნძრევლად იჯდეს.

ხატვას ამთავრებ და ორ მზერას გრძნობ: პირდაპირ მჯდარი დეიდა გიყურებს, ხანშიშესული და ნაოჭებიანი, სურათიდან ახალგაზრდა და ლამაზი დეიდა იყურება.

დეიდა ჯერ დაკვირვებით უყურებს ნანატრ ორეულს, მერე იღიმება.

შენც იღიმები, კარგ ხასიათზე დგები და ეზოში გამოდიხარ.

იყურები, უყურებ ყველაფერს.

შენი მზერა არასოდეს იღლება და მხოლოდ მაშინ გრძნობ სიამოვნებას, როცა საგნიდან საგანზე დაწრიალებს, მზერას ყველაფრის გალამაზება შეუძლია, ფართოდ გახელილი თვალებით უყურებ ყველაფერს და იღიმები. სილამაზე გაბრუებს და თვალებით იწოვ ყველაფრიდან ბურანს, რადგან მზერას ყველაფრის გალამაზება შეუძლია. თვალებს საჭმელი ღორმუცელა კაცივით ყოველთვის უნდა და შენც ყოველთვის შეგიძლია მათი დაპურება, განსაკუთრებით მაშინ, როცა კარგ ხასიათზე ხარ.

ეზოში დგახარ, იყურები და ყველაფერს უღიმი, რადგან ყველაფერი მოგწონს: ლამაზთვალებიანი ხბო, რომელიც მშვიდად ძოვს ბალახს, ქათამი, რომელიც წყლის დალევისას ცაში იყურება, ვაშლის ხის ტოტებში გატრუნული სიმშვიდე, ლობე, რომელიც ეზოს ისე აქვს შემოვლებული, როგორც წმინდანების თავს ოქროსფერი რგოლი, ლოთი ჭური, რომელიც მოხდას ელოდება და მიწაში თვლემს, ბუყბუყა ორშიმო...

კარგ ხასიათზე ხარ და გინდება, რომ ყველა შენსავით უყურებდეს ყველაფერს, გინდა, რომ ყველა შენსავით სახეს უცვლიდეს საგნებს, რადგან ხანდახან რაღაცაში ეჭვი გეპარება.

ჭასთან მიდიხარ. იყურები. სახე ქანაობს, იშლება, ისევ ჩნდება, აღტაცებული ხარ ჭით, რადგან მასაც შეუძლია იმის აცახცახება და გადასწორება, რასაც მისი ზედაპირი ხედავს. სარკე გახსენდება და გეცოდება, რადგან უფანტაზიო კაცს გაგონებს. ორეული გიღიმის, სახის ნაკვთები ცახცახებენ და ორეული თითქოს თვალს გიკრავს.

*

მზე აღარ ჩანს. ბინდი წყნარად მოდის და სევდა მოაქვს - ნაღვლიანად ბღავის ნახირიდან დაბრუნებული ძროხა. ქათმები ხეებზე ადიან დასაძინებლად. საღორეში ამწყვდევენ ღორებს. დეიდა ძროხას წველის. რძე ჩხრიალებს კასრში. დედისკენ მიიწევს დაბმული ხბო. აივანზე ნაღვლიანად ციმციმებს ნათურა. გაუთავებლად ჭრიჭინებს სადღაც ჩასაფრებული ჭრიჭინა. დუდუ ხესთან ჯდება. სიბნელეში იყურება და ნაღვლიანდება.



სოფლელები შემოდიან ეზოში.
- საღამო მშვიდობისა, დუდუ.
- საღამო მშვიდობისა.
- დაგვხატე?
- კი, ეხლავე მოგიტანთ...

დუდუს ნახატები გამოაქვს. სოფლელები. ქაღალდს უყურებენ და უხარიათ.
- მადლობთ, დუდუ, ძალიან დიდი მადლობა.
- არაფრის, ჩამოჯექით...

სოფლელები ნახატებს უყურებენ და უხარიათ. ღიმილით უყურებენ დუდუს. დუდუ ნაღვლიანად იყურება სადღაც.
- რატომ ხარ მოწყენილი?
- რა ვიცი, აბა...
- რამ დაგაღონა?
- არა, არაფერმა...

ჩუმად არიან.
- დუდუ...
- რა...
- ავად ხომ არა ხარ, დუდუ?
- არა.
- ვინმემ ხომ არ გაწყენინა?
- არა, - იღიმება დუდუ, - ვის უნდა ეწყენინებინა?
- რა ვიცი, აბა...

ისევ სიჩუმე.
- დუდუ...
- რა...
- ვინმე ხომ არ გიყვარს?

დუდუ აცქერდება, იღიმება.
- კი, - ტყუის დუდუ, - მიყვარს.
- მართლა? ვინ არის?

დუდუ იღიმება.
- როგორი გოგოა? გვითხარი რა...
- გვითხარი რა, დუდუ...

დუდუ სიბნელეში იყურება და იღიმება.
- თქვენ რომ მოგეწონებათ, ისეთი...
- მართლა? - უხარიათ სოფლელებს, - როგორი გოგოა?
- ისეთი ლამაზი გოგოა, - ჩუმად ამბობს დუდუ, - ყველაფერი ლამაზი აქვს.
- თვალები როგორი აქვს, თვალები?

დუდუ სოფლელებისათვის სასიამოვნო შედარებებს ეძებს.
- წყლიანი თვალები აქვს, ზღვასავით ღრმა თვალები.
- კარგი თვალები ჰქონია... ტუჩები?
- მარწყვივით ტუჩები აქვს... მარჯნისფერი.
- რა კარგი ტუჩები ჰქონია.
- ვარდის ფურცელივით კანი აქვს.
- რა კარგი გოგო ყოფილა...
- მოხატული წარბები.
- მომშვილდული, არა?
- ხო, მომშვილდული. მარგალიტებივით კბილები...
- ო, რა კარგი გოგო ყოფილა... ხასიათი როგორი აქვს?

დუდუ სოფლელებს აცქერდება. სახეებზე მოლოდინი აღბეჭდილა.
- ხასიათი?

დუდუ სიბნელეში იყურება და აღარ იღიმება.
- ხასიათი? კარგი ხასიათი აქვს, - ამბობს დუდუ, - კეთილია, ჭკვიანია...

სოფლელები უღიმიან.
- სათნოა, - ამბობს დუდუ, - მორიდებული...

რომელიღაც მხარზე ხელს ადებს.
- ხათრიანია, ზრდილობიანი.
- ო, რა კარგი გოგო ყოფილა. ყოჩაღ, დუდუ...

სოფლელები სიბნელეში იყურებიან.
- დუდუ, - ამბობს ჭორფლიანი, - გამგებიანია, არა?
- ხო, გამგებიანი.
- ოო, რა კარგი გოგო ყოფილა.
- დუდუ... - ეუბნება დიდკუნთება.
- რა...
- ტანი როგორი აქვს?
- ლერწამივით ტანი აქვს. ხელები მათრახებივით ჰკიდია.
- და მორიდებულია?
- ჰო. მორიდებული და სათნო.
- თმები როგორი აქვს, თმები?
- თმები ხშირი, სურნელოვანი.
- სურნელოვანი... - იმეორებს დიდკუნთება.

დუდუ უყურებს. დიდკუნთება სიბნელეში იყურება და ისე ღრმად ისუნთქავს ჰაერს, რომ დუდუ ეჭვიანობს.

დიდკუნთება დუდუს მზერას განაგრძობს, უყურებს და უხერხულად იღიმება.
- კარგი ხეა ეს დალოცვილი ცაცხვი, - ამბობს დიდკუნთება.

დუდუ იღიმება.

*

ძაღლი ყეფს.
- გახედე ერთი, დუდუ.
- ეხლავე დეიდა.

ჭიშკართან ილლიაში სამფეხამოჩრილი კაცი დგას.
- რა გნებავთ?
- მე ფოტოგრაფი ვარ. სურათს ხომ არ გადაიღებთ?
- სურათს? რა ვიცი... დეიდა!
- რა იყო, დუდუ?
- ფოტოგრაფია. სურათს ხომ არ გადაიღებთო.
- რა ვიცი... კი, როგორ არა. ეხლავე გამოვალ, დუდუ...

დეიდა იცვამს ახალ კაბას და ფეხსაცმელს. თმას ივარცხნის.

დუდუ ვაშლს სთავაზობს ფოტოგრაფს.

დეიდა გამოდის. სკამზე სხდებიან. დეიდა მორიდებით და თითქოს პატივისცემით უყურებს ობიექტივს, დუდუ დაკვირვებით აცქერდება.
- შიგა ხართ, - ამბობს ფოტოგრაფი.
- როდის მოიტანთ სურათებს? - ეკითხება დეიდა.
- ხვალ არა, ზეგ. იმათ ძაღლი ხომ არა ჰყავთ?
- არა.

ფოტოგრაფი მეზობელ ეზოში შედის.

*

დუდუ სკამზე ზის. და ფანჯარაში იყურება. ფანჯრიდან მთა ჩანს.

დუდუს არ უნდა არაფერზე ფიქრი. ფიქრი რომ დაიწყოს, იცის, იმას გაიხსენებს, რაც არ ესიამოვნება - ხვალ ფოტოგრაფი მოვა.

ფანჯარაში მთას ხედავს. მთაზე ბევრი ხეა. მთის ძირას სახლი დგას. სახლი ორსართულიანია და კრამიტითაა დახურული. სახლის წინ მწვანე ველია. ველი ლობესთან მთავრდება. ეზოში ხეებია და ქათმები დადიან. ეზოში ჭაა. დუდუ იღიმება და წამოდგომას აპირებს. მერე რაღაც ახსენდება, ბრაზდება და ჯდება. დუდუ ფიქრობს - ხვალ ფოტოგრაფი მოვა და სურათებს მოიტანს. დეიდა ღიმილით გამოართმევს და სურათს დააცქერდება...

ფოტოგრაფი მეზობელ ეზოში შევა. დუდუ სადმე იქნება ატუზული და დეიდა საყვედურით შეხედავს ზურგზე...

დუდუ ოთახს ათვალიერებს. დგება, კედელთან მიდის, ჩერდება და პირდაპირ იყურება. მზერა დაჟინებულია, რადგან რაღაცის გაგება სურს. მზერა დაკვირვებულია, რადგან იმის გაგება სურს, რაც ყველაფერზე მეტად აინტერესებს - დუდუ სარკეში იხედება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## პიროვნება



# ამ ცხოვრებას ვერავისთან გაასაჩივრებ

ჩვენი რუბრიკის სტუმარია არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი **გუჩა კვარაცხელია**

***- ქალბატონო გუჩა, უთუოდ თქვენს მეხსიერებაშიც კიაფობს იმ გაუხუნარი დღეებისა და წლების ექო ბავშვობა და ყრმობა რომ ჰქვია, ანუ სხვანაირად თუ ვიტყვით „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“...***

- მე დიდი სიყვარულით შექმნილ ოჯახში დავიბადე, ბავშვობაში ეს ბუნებრივად მეჩვენებოდა და ჩემი დედ-მამის განსაკუთრებულ ღირსებად არც მიმაჩნდა. სხვაგვარად ვერც კი წარმომედგინა. მხოლოდ შემდგომში მივხვდი იმას, რომ ბავშვისათვის ყველაზე დიდი ბედნიერება მშობლების ურთიერთსიყვარულია, იქვეა მერე ყოველი სიკეთის წყაროც. სიყვარულში და სიყვარულით გვზრდიდნენ ჩვენც - მე და ჩემს დას, რომელიც ზუსტად ერთი წლითაა ჩემზე უმცროსი. ეს განსხვავება სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ მე ყოველთვის არა მარტო უფროსი ვყოფილიყავი, არამედ - დიდიც, მიუხედავად ხსაკისა. მაგრამ ეს იყო დღისით. ხოლო ღამე, ძილის წინ, იწყებოდა ჩემი სრული გარდასახვა, ჩვენი როლები იცვლებოდა. საქმე ის იყო, რომ შუქის ჩაქრობისთანავე მეუფლებოდა საშინელი შიში, ძილს რომ არ მანებებდა ისეთი. ჩემს დას კი, ჩემზე უმცროსსა და პატარას, შიშის გრძნობის მისხალიც არ გააჩნდა. ადგებოდა, აანთებდა შუქს, საწოლების ქვეშ შემახედებდა, კარადას გამოაღებდა, დამარწმუნებდა, რომ არსად არავინ იმალებოდა. ამის შემდეგ შემიჩნდებოდა ფიქრი იმაზე, რომ ახლა ეზოდან ამოდის ვიღაც და ფანჯრიდან გადმოძრომას ლამობს. უფრო მტანჯველი იყო სირცხვილის გრძნობა, რის გამოც ეს ამბავი არასოდეს არავისთვის გამიმხელია, სოლიდარულად - არც ჩემს დას. უფრო მეტიც, თავის ამ უპირატესობას ის არც მაგრძნობინებდა, ერთი კი იყო, რომ სანაცვლოდ ზღაპრის მოყოლას მთხოვდა. ზღაპარი ყოველ ჯერზე ახალი უნდა ყოფილიყო - არც ის, რომელსაც მშობლები გვიკითხავდნენ და არც წინალამინდელი, თორემ ჩემი გულადი და მაშინვე გააპროტესტებდა: ეგ ზღაპარი ვიცი, არ მაინტერესებსო და თავს მოიმძინარებდა, მე კი იმის ცდაში ვიყავი, როგორმე მასზე ადრე დამეძინა, რა მექნა? აქ პირობების წამოყენების პრივილეგია ჩამორთმეული მქონდა, რაკი მთლიანად დამოკიდებული ვიყავი... და დავიწყე თხზვა. რას ვთხზავდი, არ ვიცი, ოღონდ ჩემს ერთ-ერთ მსმენელს ნამდვილად მოსწონდა, ძილში წასულს ხელზე მქაჩავდა ხოლმე: „მერე ლოლო, მერეო“. შეიძლება ათას ერთსაც გადავაჭარბე. შიში რას არ აქნევინებს კაცს, თორემ მერე, არც შვილებთან და არც შვილიშვილებთან, ასეთი შთაგონება აღარ მწვევია.

იფიქრებთ, რა საშინელი ბავშვობა ჰქონიაო. არა, ბავშვობა ნამდვილად ბედნიერი მქონდა, რაც მაშინაც კარგად მესმოდა და ახლაც ვიცი.

***- 50-იანი წლების საშუალო სკოლებს (რომელშიც თქვენი თაობა სწავლობდა) და დღევანდელ სკოლებს შორის მთელი ნახევარი საუკუნე გაშორებთ, თუმცა, როგორც მეცნიერს, ხუთი შვილის დედასა და განათლების ყოფილ მინისტრს (თუმც მცირე პერიოდით) სკოლასთან კავშირი, შეიძლება ითქვას, თითქმის არ გაგიწყვეტიათ. საინტერესოა თქვენეული პარალელი სწავლების***

*სისტემებსა და თაობებს შორის.*

- შემდგომშიც გამიმართლა. ვსწავლობდი ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლაში. აქვე ვიტყვი, რომ საერთოდ 50-იანი წლების საშუალო სკოლა ყველა მიმართულებით ბევრად უფრო ფუნდამენტური იყო, ვიდრე დღესაა. როცა სწავლა დავიწყე, ჩემი სკოლის ინტელექტუალური და სულიერი ატმოსფერო ძველი, გიმნაზიადამთავრებული, ევროპულად განათლებული პედაგოგების მიერ იყო შექმნილი. აქ მოღვაწეობდნენ საქვეყნოდ ცნობილი თომა ფერაძე, ნიკო ჯაფარიძე, კატო ბერიძე, მავრა გეგეჭკორი მარიამ ბალანჩივაძე, თამარ ჯაფარიძე და სხვები. შემდეგ გამოჩნდნენ ახალგაზრდები: სრულიად არაორდინარული არჩილ მჭედლიძე და რეზო ესაძე (ფიზიკას გვასწავლიდა), უსათნოესი ნუნუ ცხომელიძე, მომხიბლავი, გარეგნობასთან შეუთავსებლად მკაცრი, მომთხოვნი ტატა ფირცხალავა, რომლებიც უფროს თაობას ტოლს არ უდებდნენ ცოდნასა და პროფესიონალიზმში, არადა, მათი საშუალო ასაკი 25 წელს არ სცდებოდა. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო ჩემი პირველი მასწავლებელი, ჩემი ლექსების პირველი მკითხველი და შემაგულიანებელი, შესანიშნავი პედაგოგი დუშა სანიკიძე, რომელმაც 42 ბავშვს ერთნაირად, გამართულად კითხვა-ანგარიში და ლამაზად წერა გვასწავლა. არ ვიცი, როგორ ახერხებდა ამას, მაშინაც ხომ 45 წუთი იყო გაკვეთილში!

მიუხედავად აკადემიზმისა, რაც უთუოდ იყო ჩვენი სკოლის ნიშანი, მას სიმდორე, სქოლასტიკური რიგორიზმის ჩარჩოებით გამყარებული უძრაობა არ ახასიათებდა. აქ ყველაფერი დუღდა, სკოლა არჩვეულებრივი სავსე ცხოვრებით ცხოვრობდა. „ჩვენი სკოლა ხომ დონ კიხოტების სკოლა იყო!“ - თქვა ერთმა თანასკოლელმა. ეს შეგვეხებოდა არა მარტო ჩვენ, მოსწავლეებს, არამედ ჩემს მასწავლებლებსაც. უკეთესად ძნელად თუ დაახასიათებ იმ მენტალიტეტს, რომელიც საზრდოობდა სამართლიანობასა და სიკეთეზე ოცნებით, მშვენიერების მუდმივი ძიებითა და მაღალზნეობრივი იდეალებისაკენ მისწრაფებით. არაფერს ვალამაზებ და არც ვაზვიადებ. ეს ასე იყო. ჩვენ ვცხოვრობდით ამგვარი სინამდვილით, თუნდაც წარმოსახვითი ყოფილიყო იგი, უფრო არსებითი ხომ მაინც სამყაროსადმი ჩვენი მიმართებებია! ძალიან ნიშანდობლივად მეჩვენება ის ფაქტიც, რომ ჩვენი სკოლადამთავრებული ქალები არასოდეს თხოვდებოდნენ მდიდრებზე, არც ჩვენი ვაჟები გაუტაცნია სარფიან გარიგებებსა და „ფულის კეთებას“. ის, რასაც „ცხოვრების მოწყობა“, „თბილი და მყუდრო კეთილდღეობა“ ერქვა, ჩვენს ირონიას იწვევდა ყოველთვის.

რა აკლიათ დღევანდელ ბავშვებს და შეიძლება მთლიანად ახალგაზრდებსაც: ეს, უწინარეს ყოვლისა, არის სულიერების გარემო, დადებითი მაგალითი და ურთიერთობა პიროვნებასთან (პიროვნების უგულებელყოფის სამწუხარო ტენდენციის ასახვა მგონია სიტყვა „პირის“ სინონიმად „პიროვნების“ ყოველდღიური ხმარება. შემთხვევითი არ არის, რომ ამ უკანასკნელის ლექსიკური მნიშვნელობა იკარგება. ეს მხლოდ მეტყველების კულტურის ცოდვა არ უნდა იყოს). საგანგაშოდ მიმაჩნია ახლანდელი მშობლების სულისკვეთება, აღზარდონ პრაგმატისტი შვილები, დახარბებული მხოლოდ სარგებელსა და გამორჩენას. ფართოდ გავრცელებული მომხმარებლური ეთიკაც არა ნაკლებ სახიფათოა. მომხმარებლობა საბოლოო ჯამში მზა ნივთზეა კონცენტრირებული და ის ქმნადობის სიხარულის მომნიჭებელი ვერასოდეს გახდება.

***- ქალბატონო გუჩა, ხუთი შვილის დედობა, ექვსი შვილიშვილის ბებიობა, მრავალსახეობრივი საზოგადოებრივ-სამეცნიერო საქმიანობა, საპასუხისმგებლო თანამდებობები და ყველა მათგანში მაღალპროდუქტიულობის მიღწევა არ უნდა იყოს იოლი საქმე. და მაინც, რა არის ამის თავი და თავი?***

- საიდუმლო ამაში არაფერია. როცა ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს, იქ შვილებიც ჩნდებიან. არაბუნებრივი ის იქნებოდა, ასე რომ არ მომხდარიყო. ჩემი ორივე ბებია მრავალშვილიანი იყო.

***- მეცნიერება, პოეზია და მხატვრობა თქვენი შემოქმედებითი ცხოვრების ერთგვარი კომპონენტებია. რომელ მათგანს ანიჭებთ უპირატესობას?***

- ჩემს მხატვრობაზე ლაპარაკი მხოლოდ ხუმრობით შეიძლება. რაც შეეხება პოეზიასა და მეცნიერებას, ორივეს ყოველთვის ძალიან სერიოზულად ვეკიდებოდი. პოეტი რომ ვიყავი (ან, რომ უნდა ვყოფილიყავი), ეს საკმაოდ ადრე, ბავშვობაში გავაცნობიერე. თუმცა ყველაფერი იმისთვის მინდოდა, რომ კარგი ლექსები მეწერა, პოეტობა პროფესია არ მეგონა, შეიძლება მეცნიერებასაც ამიტომ ვეუფლებოდი. საერთოდ სინთეზი (არა ეკლექტიკა!) მიყვარს. უმაღლესი წესრიგისა და ჰარმონიის გამოვლენად მიმაჩნია.

***- ქალბატონო გუჩა, თქვენი საზოგადოებრივ-სამსახურებრივი იერარქია მრავალწახნაგოვანია, რომელია თქვენთვის ყველაზე ნიშანდობლივი, ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ, სად გრძნობთ თავს ყველაზე ლაღად და თავისუფლად?***

- ყველგან კარგად ვგრძნობ თავს, სადაც საქმე მაქვს. უკეთესად კი - ჩემს ოთახში, საწერ მაგიდასთან.. არავითარი საზოგადოებრივ-სამსახურებრივი იერარქიები არ მაღელვებდა და არ მაღელვებს. შეგნებულ ადამიანებში უდიქტატობის დიქტატის მომხრე ვარ. არ მიყვარს უფროსობა. არც ბავშვთან.

***- გავრცელდა გამონათქვამები: მრეწველობა, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, კულტურა და ა. შ. გადაარჩენს საქართველოსო... თუ განათლებას, ცოდნას, უნდა მივანიჭოთ პრიორიტეტი? პირველად იყო სიტყვა, მეთანხმებით, ქალბატონო***

ეროვნული ბიბლიოთეკა

***გუჩა?***

- მე მგონია სიყვარულიანი ცოდნა გადაარჩენს საქართველოს. ცალ-ცალკე ვერც სიყვარული გამოგვიყვანს ამ მდგომარეობიდან და ვერც მხოლოდ ცოდნა. ამის მაგალითები ვიცით. ცოდნის წადილით ქართველები ოდითგანვე ცნობილნი იყვნენ. სიყვარულიც მომეტებული ვიცოდით. მაგრამ ხშირად, ვისაც უყვარდა, იმან არ იცოდა, ხოლო ვინც იცოდა, იმას საკმარისად არ უყვარდა. ამიტომ ვამბობთ, რომ სიყვარულიანი ცოდნა, ან თუ გნებავთ, ცოდნით შეიარაღებული სიყვარული გადაარჩენს საქართველოს. სხვა დანარჩენი - დარგები იქნება ეს თუ სფეროები - მხოლოდ დაკონკრეტებაა, სპეციალიზაციაა.

***- სამ ღვთაებრივ საუნჯეთაგან... „ენა, მამული, სარწმუნოება“, დღევანდელ დღეს არც ერთია დალხინებული. როგორც უდიდესი ტრადიციების მქონე ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, რას გვეტყოდით ამაზე?***

- ენათმეცნიერების ინსტიტუტის ათგზის დირექტორიც რომ ვიყო, იმაზე მეტს მაინც ვერაფერს ვიტყოდი, რაც ილიამ თქვა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩენია ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით. რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას. ენა სალმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრება. მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. ამ, ყოველი ქართველისათვის ქრესტომათიული, სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი. მაგრამ ეს ყველაფერი ჩვენ ჯერ ბოლომდე ნაპატრონები არა გვაქვს. მათ შორის, ენაც. ენის პატრონი კი ამ ენის ყოველი მატარებელია. რამდენი გამოკვლევაც უნდა არსებობდეს, რა სიგრძე-სიგანე-სიღრმითაც უნდა იყოს ენა მეცნიერულად შესწავლილი, როგორი მდიდარი მწერლობისაც უნდა იყოს ენა, მისი პატრონი მაინც ხალხია, თითოეული კაცი, რომელიც „ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“, ცოდნიერი სიყვარულით (ისევ!) უნდა მოეკიდოს მას. ენა ხომ მასზე მოლაპარაკე ხალხში და ხალხით ცოცხლობს, მის სიწმინდესაც პრაქტიკულად ამ ხალხის ბაგე თუ დაიცავს.

***- სიტყვისა და პრესის თავისუფლებაზე რას გვეტყოდით?***

- პრესის თავისუფლება უკვე თითქმის ათეული წელია საქართველომ კიდეც მოიპოვა და კიდეც დააკანონა. დარწმუნებული ვარ, რომ დემოკრატიის პროცესი ჩვენში შეუქცევადი იქნება, ასევე იქნება პრესის თავისუფლებაც. მე სულაც არ მიმაჩნია სახიფათოდ და საგანგაშოდ პრესის შესახებ კანონის ახალ რედაქციაზე ლაპარაკი. რა თქმა უნდა, კარგია, თუ პრესის მუშაკთა უფლებები გაიზრდება (ცხადია, მოვალეობის გაზრდასთან ერთად!), თუ ჟურნალისტის უსაფრთხოების დაცვა ამ ახალი რედაქციით მეტად იქნება უზრუნველყოფილი. ამასთანავე, მე ვისურვებდი, რომ არც მსმენელისა და მკითხველის უფლებები ირღვეოდეს. როცა ჟურნალისტი დაუდევრად ექცევა ენას, უგულებელყოფს სალიტერატურო ნორმებს, თავს აი იმით იმართლებს, რომ თითქოს დემოკრატიული ამორჩევის თავისუფლებას იცავს, სინამდვილეში ერთმანეთში ურევს ერთი მხრივ - დემოკრატიასა და ცრუდემოკრატიას, ხოლო მეორე მხრივ - თავისუფლებასა და ანარქიას. ფაქტობრივად იგი უხეშად არღვევს მსმენელისა თუ მკითხველის სწორედ დემოკრატიულ უფლებას - სწორი წარმოდგენა შეუქმნან მას მშობლიური ენის შესაძლებლობებზე.

***- დღეს ადამიანების უმრავლესობა პესიმიზმსა და უიმედობას მოუცავს. ამის საფუძველი კიდეც არსებობს. მართლა ასე დაღუპულია ყველაფერი თუ კიდევ ჩანს იმედის ნაპერწკალი გვირაბის ბოლოს?***

- არ ვფიქრობ, რომ ჩვენ გვირაბში ვართ. ამ ცისა და მზის ქვეშ მყოფი გვირაბში მჯდომარედ არ შეიძლება ჩაითვალოს. სხვათა შორის ვერც ჭურში მჯდომად დარჩება დიდხანს. ჩვენ რა, მართლა „განვითარებადი ქვეყანა“ ვართ, როგორც ზოგ-ზოგი გარეული და ზოგიც შინაური გვეძახის, თუ უძველესი კულტურის ქვეყანა, რომლის ინტელექტუალური და გამომსახველობითი პოტენციალი არავის ეჭვს არ იწვევდა არასდროს, ქვეყანა, რომელსაც სულ ახლო წარსულში ჰქონდა განვითარებული მძიმე და მსუბუქი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ყოველ დარგში ჰყავდა და ჰყავს მაღალკვალიფიციური კადრების საკუთარი ლაშქრები. „განვითარებადი“ ეთქმის ასეთ ქვეყანას? ჩვენ მხოლოდ განსაცდელში ჩავარდნილი ქვეყანა ვართ. განსაცდელსაც იმიტომ ჰქვია „განსაცდელი“, რომ უნდა განვიცადოთ, გადავიტანოთ და გავსცდეთ. ისევ ილიას მოვუხმობ, რომელმაც, ასე მგონია, დღევანდელ საქართველოზეც კი ჩვენზე მეტი იცოდა: მას თავისი თაობის მოღვაწეობის აზრად და მიზნად მიაჩნდა „ჩვენი დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოვლის მოსალოდნელის ფათერაკისაგან... ყველამ, ვისაც რა შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოუყაროს თავი და ერთად, ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენი ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოვლისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ. სკოლაა, ბანკია თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისკენ უნდა მივუბრუნოთ თავი. ვაყენებთ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებლად, თუ მასწავლებლად, თუ რადმე სხვად - მაგ მიმართულების სასწორზედ უნდა ავწონოთ“. ეს სიტყვები 120 წლისაა, ხოლო სიბრძნეს, რაც ხანდაზმულია, უფრო დაეჯერება.

***- თქვენივე პოემის - „მარადისობის მძევლები“ - სტრიქონებს თუ დავესესხებით, „წავა ცხოვრება იმდაგვარი, ჩვენ რომ არ გვსურდა და ამ ცხოვრებას ვერავისთან გაასაჩივრებ“... წავიდა მეოცე საუკუნე, რას უნდა ველოდოთ ოცდამეერთისაგან?***

- უარესის მოლოდინი ნამდვილად არ მაქვს. ცხოვრება კი უმეტესად იმდაგვარად მიდის, ჩვენ რომ არ გვინდა. ასე იქნება ოცდამეერთე საუკუნეშიც. ეს ზოგადია. კიდევ უფრო ზოგადი და, სამწუხაროდ, ჭეშმარიტია აზრი, რომ „ამ ცხოვრებას ვერავისთან გაასაჩივრებ“.

***ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲜᲣᲜᲣ ᲙᲣᲞᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ***





# გიკა მიჩზაშვილი



დაიბადა 1961 წლის 20 მაისს.

1984 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო აკადემია - ფერწერის ფაკულტეტი.

1987-1990 წლებში სწავლობდა და დაამთავრა უჩა ჯაფარიძის სახელობის ფერწერის შემოქმედებითი სახელოსნო.

1984 წლიდან დღემდე მონაწილეობს გამოფენებში, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

ჰქონდა ოთხი პერსონალური გამოფენა:

1987 წ. - მხატვრის სახლი;

1994 წ. - სურათების ეროვნული გალერეა;

1997 წ. - სურათების ეროვნული გალერეა;

1998 წ. - გალერეა „ვერნისაჟი";

1999 წ. - გალერეა „შარდენი;

2001 წ. - გალერეა „შარდენი";

2002 წ. - კლუბი „სარდაფი".

ყოფითობიდან აღებული სივრცული ობიექტი სიბრტყეზე ფიქსირდება. თავის პირველად სახეს, ფუნქციას კარგავს და ახალ რეალობაში იწყებს არსებობას. ასე გადაიქცევა დაჭყლეტილი ქილა ადამიანის სახედ, მოღუნული თუნუქის ფირფიტა გედის სხეულად და ა. შ.

მესამე განზომილების შეტანით მხატვარი ჩარჩოსშიდა სიბრტყეს მეტ გამომსახველობას სძენს.



ამ დინამიურ ექსპონატებზე ასევე დინამიურად საუბრობს თვითონ მხატვარი:

„ხის მასალა, ლითონი, სხვადასხვა სახის ჯართი... მძიმე დრომ მოიტანა. როდესაც არა გაქვს ტილო, საღებავი, ფუნჯი... უსაქმოდ ჯდომას, მე მგონი, მაინც შრომა სჯობია... შევყევი ამ საქმეს. ვაწყობდი კომპოზიციებს - ვხერხავდი, ვქლიბავდი, ვაჭედებდი, ვხრახნიდი, ვღებავდი... - უშუქობა, დეპრესია, დისკომფორტი... - დავძლიე...

1995 წლიდან ვმუშაობ ამ შერეული ტექნიკით. ამ ბოლო დროს სინთეზური გავხადე ხე, ლითონი, საღებავი... გამოსახვის ბევრნაირ საშუალებას იძლევა.

ფაქტურა, მასალა, სიმკვეთრე... ზოგჯერ შედარებით კმაყოფილი ვარ ნამუშევრით, საკმაოდ ბევრი დამიგროვდა, არ არსებობს ჩემთვის პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი დეტალი, უბრალოდ აქცენტის გაკეთება შეიძლება ალაგ-ალაგ...

სასიამოვნოა მუშაობის პროცესი, ფიზიკური, გონებრივი, როდესაც კოსმოსის ჰარმონიული ნაწილი ხდები - **Acti Labo res Jucumdi** - ბოლომდე მიყვანილი საქმე სიამოვნების მომგვრელი".

ეროვნული ბიბლიოთეკა















# უნგრეთი - საქართველო



## ჩვენთვის უცნობი ევგენი ზიჩი

1895 წლის 30 აპრილს ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“ (№ 97) მკითხველს აუწყებდა უნგრეთის სამეცნიერო ექსპედიციის კავკასიაში მომავალ ჩამოსვლას. „კამარგერს ავსტრია-უნგრეთის ტახტისა, გრ. ზიჩს, გაზეთ „პარლამენტის“ სიტყვით, კავკასიაში მოგზაურობა განუზრახავს, რისთვისაც შეუდგენია მეცნიერთა ექსპედიცია. აზრი მოგზაურობისა ის არის, რომ გამოიკვლიოს ურთიერთობა ტომთა შორის, რომელთა აქვთ ნათესაობა მადიარებთან. ექსპედიცია ნახევარ წელიწადს იმოქმედებს. ხარჯი რიცხვით 18.000 ფლორინი, რომელიც მოგზაურობის დროს მოუნდებათ, გრაფს თვით უკისრია“, - იტყობინებოდა „ივერია“.

და მართლაც, იმავე წლის ივნისის ბოლოს თბილისში ჩამოვიდა უნგრეთის ექსპედიცია. უნგრელთა ამ ჯგუფს სათავეში ედგა ევგენი ზიჩი, რომელიც, „ივერიის“ ცნობით, იყო „ავსტრია-უნგრეთის ტახტის კამერგერი“, ხოლო გაზეთ „ნოვოე ობოზრენიის“ თქმით, „ავსტრიის იმპერატორის კამერგერი და ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი“.

1895 წლის 4 ივლისს ექსპედიცია თბილისიდან საქართველოს სხვადასხვა რაიონში გაემგზავრა.

აი რას წერდა გაზეთი „ივერია“ 1895 წლის 5 ივლისს (№140): „გუშინ, 4 ივლისს, გაემგზავრა ტფილისიდან უნგრეთის ექსპედიცია, რომელსაც აზრადა ჰქონდა გამოეკვლია, სად და რა ნიშნები დაუტოვებია უნგრეთის ერს ხალხთა გადასახლების დროს საქართველოზედ. ამ ექსპედიციაში მონაწილეობას იღებენ თვით ზიჩი, კლაუზენბურგის უნივერსიტეტის პროფ. სადეცკი, აბბატი - არხეოლოგი მორიც ვოშინსკი, პროფესორ-ლინგვისტი გაბ. ვალლინტი, მიუნხენის მხატვარი კარლ ვუტკე, თარჯიმანი იაკ ჩილინგარიანი და მეტყევე პილი. ექსპედიცია ყოფილა ჩრდილო კავკასიაში, ყაბარდოსა და ნალჩიკში, სადაც ადგილობრივ მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებაში აღმოუჩენია ამ ერის ნათესაობა უნგრეთელებთან. ყველაზე მეტად ექსპედიციის ყურადღება მიუპყრია ხუნძაყს, სადაც რამდენიმე ნივთიც კი უპოვიათ ისეთი, რომლებიც ნამდვილად ამტკიცებენ უნგრელთა აქ ყოფნას. დარუბანდში ექსპედიციის ისტორიული საბუთებიც კი მოუნახავს, რომლებიც ეკუთვნიან მეოთხე საუკუნეს აქეთ; ამ საბუთების მოწმობის ეს ადგილი უნგრელებს 1.100 გირვ. ოქროთი მიუყიდნიათ სპარსელებისათვის. გრაფ ზიჩს ამჟამად მრავალი არხეოლოგიური ნაშთი მიაქვს თან, რომლებიც ბუდაპეშტის მომავალს გამოფენაზედ იქმნებიან გამოკიდებულნი. ეს გამოფენა უნგრელთა ათასის წლის დღესასწაულზედ უნდა მოხდეს, ე. ი. იმ დროს, როდესაც უნგართა მისვლას ევროპაში შეუსრულდება ათი საუკუნე. ზიჩი საზოგადოდ დიდი მადლობელია ადგილობრივ მცხოვრებთა მათის მასპინძლობისა და დახმარებისათვის მოგზაურობის დროს. ტფილისიდგან ექსპედიცია გაივლის გორს, უფლისციხეს, ბორჯომზედ და აქედან იმერეთს წავა. დაათვალიერებს ქუთაისს, გელათს, დაათვალიერებს ძველის დარუბანდის კარებს და ბათუმსა, ქერჩსა, ტაგანროგსა და კიევზედ წავა მოსკოვსა და პეტერბურგს“.

თბილისიდან გორში მიმავალი ე. ზიჩის ექსპედიცია შეჩერებულა ხვედურეთში, გიორგი ივანეს ძე ციციშვილის ოჯახში. ამას თავისი განსაკუთრებული მიზეზი ჰქონია, რაზედაც „ივერია“ თავის მკითხველებს აცნობებდა 1895 წლის 25 აგვისტოს (№182) ნომერში.

აი, რას წერდა გაზეთი:

„უნგრეთის საარხეოლოგიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისია, რომლის თავმჯდომარედ უნგრეთის არისტოკრატი და დიდი შეძლებული გრაფი ზიჩი არის არჩეული, ჩამოვიდა, როგორც მოვიხსენიეთ ამის წინათ, კავკასიაში, იმ აზრით, რომ ძველი უნგრეთის ხალხის თაობაზედ რაიმე ნაშთი იპოვოს.

სხვათა შორის, როდესაც გრაფს გაუგონია, რომ ქართლში ცხოვრობენ თავადნი ციციშვილები და ეს გვარი თავის გვართან შეუდარებია, მოუსურვებია მათი ნახვა და გაცნობა. მთელი კომისია გამგზავრებულა და მისულა თავადნი ციციშვილებში. რასაკვირველია, ქართველურის პურმარილით, დარბაისლობით და სტუმართმოყვარეობით მიჰგებებიან ამ კომისიას მთელი გვარეულობა ციციშვილთა. გრაფი ზიჩი ისეთ აღტაცებაში მოვიდა დიდებული მასპინძლობით და ძველებურის მოლხენითა და დროს გატარებით, რომ სამაგიეროდ მიიწვია მთელი გვარი უნგრეთში მომავალ არხეოლოგების კრებაზედ, თავის ხარჯით.

ერთი რამ ძალიან ეუცხოვათ უნგრელებს: მათ თან წაეყვანათ თარჯიმნები, მაგრამ ესენი სრულიად აღარ დასჭირებიათ, რადგან რამოდენიმე მანდილოსანი, ქართულად ჩაცმული, კარგის ფრანგულის ენით მოლაპარაკე ყოფილა თვით თავად ციციშვილებში. გრაფი თითქმის გამონათესავებია: „თქვენ უსუთუოდ უნგრელები უნდა იყოთო, ან მე ქართველი ვყოფილვარ ოდესმეო. უსათუოდ უნდა მეწვიოთ ჩემს სამშობლოში და ვეცდები მაგიერი პატივისცემა იქ გადაგიხადოთო“.

1897 წლის 9 ივლისს გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ (№249) გამოაქვეყნა საინტერესო ცნობა ე. ზიჩის საქართველოში ყოფნის შესახებ: „უკანასკნელის ვოლფის გამოცემაში, „ნოვ“-ში, მოთავსებულია პატარა წერილი სათაურით „გრაფი ზიჩი კავკასიაში“, ვ. ჩერნოვისა. ამ წერილიდან სჩანს, რომ ამ ცოტა ხანში გამოსულა ვეებერთელა წიგნი ფრანგულის ენაზე, თხზულება გრაფის ევგენი ზიჩისა; წიგნში მოთხრობილია, თურმე, დაწვრილებით თვითონ გრაფ ზიჩისაგან მოგზაურობა მისი კავკასიაში და შუა აზიაში“.

გაზეთი მოაგონებდა მკითხველებს ზიჩის საქართველოში ჩამოსვლის მიზანს: „საგანი ამ მოგზაურობისა, გრაფის სიტყვით, ეს იყო, რომ გამოეკვლია, თუ საიდან წარმოსდგებიან ეხლანდელი უნგრეთელნი. მეცნიერებს დღემდე ვერ გამოუკვლევია, თუ საიდან, ან რომელი ტომიდან წარმოსდგებიან ეხლანდელი უნგრეთელნი, რომელიც ათას წელიწადზე მეტია, რაც დასახლდნენ ეხლანდელს უნგრეთში მდინარე ტისასა და დუნაის ვაკეთა შორის. ზოგნი უნგრელს ოსმალოს ერს აკუთვნებენ, ზოგნი გუნებს, ზოგნი კიდევ კავკასიის ტომს და სხვა. თვით გრაფი ევგენი ზიჩი ეკუთვნის უნგრეთის ერის უძველესს გვარეულობას: იგი დიდი მებატონეა უნგრეთში და სახელმწიფო სამსახურში ითვლება (მაგნატია). საქართველოში ყოფნის დროს, სხვათა შორის, გრაფი ზიჩი ესტუმრა აწ განსვენებულს თავ. გიორგი ივანეს ძე ციციშვილს ხვედურეთში და ერთი კვირა დაჰყო ციციანთში. გრაფი ზიჩი იმ აზრისაა, რომ ჩვენებურნი ციციაანნი და უნგრელთა ზიჩები ერთისა და იმავე სახელობიდან უნდა იყოს. ციციაანი, ანუ როგორც გრაფი ამბობს, ზიჩიაანნი, ძველი დროის გვარეულობა არისო და ეჭვი არ არის, რომ უნგრელთა და ქართველთა შორის რაღაც კავშირი უნდა ყოფილიყო ძველს დროშიო და სხვა.

როგორც ზემოთ ვთქვით, გრაფის ზიჩის წიგნი დასურათებულია მრავალი ნახატებით (თვითონ ზიჩისაგან გადაღებული ფოტოგრაფიულის სურათებით) სხვათა შორის, ხსენებულის სურათებში მოთავსებულია ის სურათიც, როცა ზიჩი ხვედურეთში იყო სტუმრად ციციაანთ სახლობით გადაღებულნი, თვით გრაფი ზიჩი და მისი მასპინძელი, აწ განსვენებული თავ. გიორგი ციციშვილიც თავის სახლობით. სასურველია, გრაფი ზიჩის წიგნიდან ფრანგული ენის მცოდნეთაგან გადათარგმნილი იქმნას ყველაფერი საქართველოს შესახებ, მით უფრო, რომ როგორც სჩანს, გრაფი ზიჩი ბევრს საგულისხმო რასმე სწერს საქართველოზე და ქართველებზე“.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ სავსებით სწორად აღნიშნავდა - ბუდაპეშტში მართლაც გამოიცა ფრანგულ ენაზე ევგენი ზიჩის წიგნი და მასში საქართველოში გადაღებული ბევრი ფოტოსურათი იყო დაბეჭდილი. რაც შეეხება ვ. ჩერნოვის წერილს „გრაფი ზიჩი კავკასიაში“, რომელიც ჟურნალ „ნოვის“ 1897 წლის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა, მასში ავტორი დაწვრილებით აღწერს ევგენი ზიჩის მოგზაურობას და აქვეყნებს ფოტოსურათებს წარწერით: „კავკასიური ტიპები ევგენი ზიჩის ფოტოსურათების მიხედვით“.



ამ ფოტოსურათებს შორის უპირველესად აღსანიშნავია სახელმწიფო ფორმაში გამოწყობილი თვით ევგენი ზიჩის პორტრეტი და მიხაი ზიჩისთან ერთად გადაღებული სურათი (მიხაი და ევგენი ზიჩები ნათესავები ყოფილან). გარდა ამისა, ჟურნალი დამატებით ცნობებს იძლევა ევგენი ზიჩის შთაბეჭდილებებზე კავკასიაში მოგზაურობის შესახებ.

*ანდრე კარგელაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფოტო სტუმარი



სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

მომღერალი **ეკა მამალაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა









ეროვნული ბიბლიოთეკა



# რომი შნაიდერი

„შეძლებს კი ვინმე, ამიხსნას, გამაგებინოს, თუ რატომ მაყენებს ცხოვრება ამდენ ტკივილს?..“

ეკითხებოდა რომი შნაიდერი 1981 წელს შვილის საფლავთან თავშეყრილებს, თუმცა, იმ დროისათვის ორმოც წელს გადაცილებულმა მსახიობმა, თავადაც კარგად იცოდა ამ კითხვაზე პასუხი. მან უსაზღვრო განცდებითა და ცდუნებებით იცხოვრა. ეს არჩევანი კი თავად გააკეთა. ცხოვრების ასეთი წესი კი ტკივილს აყენებს განურჩევლად ყველას.

რომი შნაიდერმა რთული ცხოვრება განვლო. თავბრუსდამხვევ წარმატებებს ყოველთვის თან სდევდა სტრესები, მარტოობა, საყვარელი, ძვირფასი ადამიანების დაკარგვა.

1958 წელი მსახიობის ცხოვრებაში განსაკუთრებული იყო. პრაგმატულად მოაზროვნე ოჯახისშვილი, შინაგანი თავისუფლებისათვის ილვწოდა. სწორედ იმ პერიოდში მან მიილო ფრანგი რეჟისორის პიერ გასპარ უისაგან წინადადება ფილმ „ქრისტინაში“ მონაწილეობაზე. მისი პარტნიორი უნდა ყოფილიყო იმ დროისათვის უცნობი ახალგაზრდა მსახიობი ალენ დელონი.

რომიმ დაუფიქრებლად მიილო ეს წინადადება და გაემგზავრა პარიზში. სწორედ ამ ქალაქში, თვითმფრინავის ტრაპთან იგი პირველად შეხვდა ალენ დელონს. ამგვარად მის ცხოვრებაში გაჩნდა ორი სამყარო, პარიზი და ალენი - მისი ცხოვრების მარადიული ლტოლვა.

რომი: „მახსოვს ყოველი წვრილმანი - ჩვენ ჩამოვფრინდით პარიზში, სადაც აეროდრომზე ფრანგულმა კინოკომპანიამ შეხვედრა მოაწყო ფილმის მთავარ გმირებთან, ჩემთან და ჩემს მომავალ პარტნიორთან. ტრაპთან იდგა ძალიან ლამაზი და უაღრესად მოდურად ჩაცმული ახალგაზრდა - ალენ დელონი, იგი არ ლაპარაკობდა გერმანულად, მე კი ფრანგულად...

ნამდვილი ალენი მე მოგვიანებით გავიცანი პარიზში. ის იყო თმაგაჩეჩილი, ველური ახალგაზრდა კაცი, ცისფერი ჯინსის ქურთუკითა და სპორტული მაისურით. ყოველთვის და ყველგან აგვიანებდა. პარიზის ქუჩებში წარმოუდგენელი სისწრაფით დაქროდა თავისი „რენოთი“. მასზე სხვადასხვაგვარ მითქმა-მოთქმას გაიგებდით. თავდაპირველად ჩვენ ერთმანეთი არ მოგვეწონა. ხანდახან ვჩხუბობდით კიდეც. სწორედ ამ დროს ჩატარდა კინოფესტივალი ბრიუსელში, სადაც მე და ალენი მატარებლით გავემგზავრეთ. პირველად, გაცნობის შემდეგ აღარ გვიჩხუბია და ორივენი ვცდილობდით, თავი მოგვეწონებინა ერთმანეთისათვის. ასე დაიწყო ჩვენი რომანი.“

მათი უახლოესი მეგობარი, მწერალი ფრანსუა საგანი იგონებს;

„რომიმ ალენთან განიცადა ისეთი სიყვარული, რომელიც ბევრი ქალისთვის, ალბათ, უცხოა. ეს იყო ჭეშმარიტი, გულწრფელი, ახალგაზრდული სიყვარული. ალენი იყო მისი ცხოვრების მამაკაცი და რომი, ალბათ, ყველაფერს გაიღებდა, რომ გამხდარიყო მისი მეუღლე“.

ყოველთვის მხიარული, მომხიბვლელი ალენი შეუდარებელი იყო. რომიმ იგი თავდავიწყებით შეიყვარა. მის გამო, სნობური ოჯახიდან გამოსული ქალისათვის მიულებელი ნაბიჯიც გადადგა - პირველი გამოუტყდა ალენს სიყვარულში.

მალე ფილმის გადაღებები დასრულდა. რომიმ ალენი თვითმფრინავის ტრაპამდე გააცილა. შემდეგ ამას ასე იგონებს რომი:

„მე არ დამინახავს, როგორ აფრინდა თვითმფრინავი. თვალები ცრემლებით ამევსო. მეორე დღეს უნდა გავფრენილიყავი შინ, კიოლნში, რომ დამესვენა, მაგრამ გადაწყვეტილება შევიცვალე და ბილეთი ვენა - პარიზის რეისზე ავიღე. როგორც კი თვითმფრინავი ორლის აეროპორტში დაეშვა, მე დავურეკე ალენს, ის იყო ყურმილი დავკიდე, მხოლოდ მაშინ გავაცნობიერე, რა ჩავიდინე. მაგრამ რა მექნა? მე ხომ ასეთი ვარ, ყველაფერში ბოლომდე ვიხარჯები. სიყვარული მხოლოდ მთელი გულით შემიძლია.

თავისუფლება შევიგრძენი. ეს იყო ნამდვილი გაქცევა. საბოლოოდ გავწყვიტე ყველა ძაფი, რომელიც ოჯახთან მაკავშირებდა. ვიყავი საოცრად ბედნიერი - არც მოვტყუვდი: ჩვენი გრძნობა ორმხრივი იყო. განშორება ორივესთვის აუტანელი აღმოჩნდა. ახლა ჩვენ ვეკუთვნოდით ერთმანეთს, ორივე ახალგაზრდა და დამოუკიდებელი“.

1959 წლის მარტში რომი და ალენი ერთად ცხოვრობდნენ მოლაკის სანაპიროზე. რომიმ წერილი მიილო დედისაგან. ის გაემგზავრა დედასთან ლუგანოში, ერთ კვირაში კი ალენიც მათთან ჩავიდა.

დედა ემუდარებოდა რომის, რომ ალენთან ურთიერთობა დაეკანონებინა. აი, რას წერს ალენ დელონი: „რომი მიეკუთვნებოდა საზოგადოების იმ ფენას, რომელსაც ყველაზე მეტად ვერ ვიტანდი. თუმცა ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ბრალი არ იყო. მაგრამ იგი მაინც ამ საზოგადოების შვილი იყო. ხუთი წლის მანძილზე მე ვერ შევძელი, ამომეძირკვა ის, რაც გაჯერებული იყო მასში ოცი წლის განმავლობაში. მასში იყო ორი რომი. ერთი, რომელიც მე უგონოდ მიყვარდა, მეორე, რომელიც ასევე უგონოდ მძულდა..."

რომი: „არავის ძალუძს ბოლომდე გადალახოს თავისი წრის ზეგავლენა. არც ალენსა და არც მე არ შეგვეძლო ამის გაკეთება. ამიტომაც ჩვენი ურთიერთობა თავიდანვე განწირული იყო. თუმცა, მაშინ ამის შესახებ არც ერთმა არაფერი არ ვიცოდით. ან არ გვინდოდა, რომ გვცოდნოდა... ყოველ შემთხვევაში მე."

ეს შეფასება რომი შნაიდერმა ალენთან დაშორების ერთი წლისთავზე გააკეთა. მაგრამ აქ იგი ბოლომდე გულწრფელი არ იყო. იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება - რომის მოჭარბებული თავმოყვარეობა. ნიშნობა, რომელიც ოთხი წელი გრძელდებოდა, ქორწინებით არ დასრულდა. და მხოლოდ ორმოცი წლის მიჯნაზე რომიმ აღიარა, რომ მთელი არსებით სურდა ყოფილიყო ალენ დელონის ცოლი, რომელიც უანგაროდ უყვარდა და ოცნებობდა მასთან ერთად ოჯახურ ბედნიერებაზე. ალენი მაშინ ხშირად დასცინოდა. ამიტომ რომი იძულებული იყო, გაჩუმებულიყო, დამორჩილებოდა მას. არანაირი საყვედური, თუმცა კი... მთელი წლები წყენა თან სდევდა და სულს უფორიაქებდა.

„როდესაც ჩვენ ერთმანეთს შევხვდით. - იხსენებს ალენ დელონი, - რომიმ ფრანგული არ იცოდა, მე კი გერმანული. რამდენიმე თვეში, მე გერმანული კვლავ არ ვიცოდი, ის კი თავისუფლად ფლობდა ფრანგულს..." მოგვიანებით ალენი აღიარებს: „... შენ გიყვარდი, მე კი შენ ფრანგი გაგხადე, ფრანგი კინოვარსკვლავი. დიახ, ეს ჩემი დამსახურებაა! და საფრანგეთი, რომელიც შენ ჩემს გამო შეიყვარე, შენს სამშობლოდ იქცა."

რომი შნაიდერი აგრძელებს კონტრაქტს ჰოლივუდში, ალენ დელონი კი ევროპაში. ის არწმუნებს რომის, რომ არ ცნობს „ბიუროკრატიულ ინსტიტუტებს", და ამიტომაც არ სურს, ნიშნობა ქორწილით დაასრულოს. თუმცა ამ წერილის შემდეგ, სულ ნახევარ წელში ცოლად მოჰყავს ნატალი ბართელემი. თავმოყვარე რომის სიტყვაც არ დაუძრავს ამ ფაქტთან დაკავშირებით. მაგრამ თუ რას განიცდიდა იგი შინაგანად, ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყობთ.

1963-64 წლებში იწყება ნამდვილი საშინელება რომის ცხოვრებაში. რომი თავის ვილაშია მონტე-კარლოში. ალენი ვერ ჩამოდის, რადგან იმყოფება გადაღებებზე ესპანეთში. ერთ დღეს რომის ხელში ხვდება გაზეთი, სადაც ფოტოზე ალენს კალთაში უცხო ქალი უზის. ორ დღეში ყველა ევროპული გაზეთი კომენტარს უკეთებდა ამ ფაქტს.

რომიმ თავს ნება მისცა, ფრთხილად ეკითხა ალენისათვის: რას ნიშნავდა ყოველივე ეს? მან კი გაიცინა და ხუმრობა დაიწყო.

რომი ტელეფონთან იჯდა და ელოდებოდა ალენის მორიგ ზარს მადრიდიდან, როცა ალენი ჩამოფრინდა მასთან (მას უყვარდა ასეთი სიურპრიზები). ისინი ძალზე თბილად შეხვდნენ ერთმანეთს, თითქოს ყველაფერი ძველებურად იყო და არაფერი შეცვლილა. მიუხედავად ამისა, ეს იყო მათი ერთ-ერთი ბოლო შეხვედრა.

უკანასკნელად ერთად ისინი იყვნენ რომში. ალენი მეტად თბილი იყო. რომისთან ურთიერთობაში, ისეთი, როგორიც მათი პირველი გაცნობის დღეებში. მან ასევე თბილად გააცილა რომი თვითმფრინავის ტრაპამდე, რომელიც კალიფორნიაში მიფრინავდა. ჰოლივუდში კი, რომი თვალებს არ უჯერებდა, - ყველა გაზეთი იუწყებოდა ალენ დელონისა და ნატალი ბართელემის ნიშნობას. განრისხებული და შეურაცხყოფილი რომი ელოდებოდა განმარტებებს. ბოლოს ყველაფერი გაირკვა. ჰოლივუდში ჩამოვიდა რომი შნაიდერის მეგობარი და პროდიუსერი ჟორჟ ბუმი. მან ჩამოუტანა რომის ალენის ვრცელი, თოთხმეტგვერდიანი წერილი. მას უყვარდა დაწვრილებით წერილების წერა. წერილი იყო სენტიმენტალური, ის არ იშურებდა თბილ სიტყვებს, იგონებდა ერთად გატარებულ საუკეთესო დღეებსა და წუთებს. მადლობას უხდიდა ყველაფრისათვის, თუმცა ყველა ის სასიყვარულო სიტყვები ბუნდოვნად მიანიშნებდა იმას, რომ ისინი უნდა დაშორებულიყვნენ.

რომიმ წერილს არ უპასუხა. თუმცა რაღა უნდა ეთქვა? ის ჩაიკეტა თავის თავში - არავისთან არაფერზე არ საუბრობდა:

„ალენის ღალატის შემდეგ მე ვიყავი განადგურებული, დაბნეული, შეურაცხყოფილი, ეს რომ ჩემზე ყოფილიყო დამოკიდებული - მას არასოდეს მივატოვებდი... ადრეც იყო ისეთი მომენტები, რომ ვამბობდი, დროა დასრულდეს ყველაფერი! მაგრამ არ მქონდა ამის ძალა. მე ის ძალიან მიყვარდა და ყველაფერს ვაპატიებდი. არაფერს არ ვნანობ. მაგრამ ღმერთმა დამიფაროს - მეორეჯერ მე ამას ვერ გადავიტან... მაშინ, 1964 წლის შემოდგომაზე პირველად ვიგრძენი, რომ უნდა შემესწავლა ნამდვილი ცხოვრება - კინოსა და სცენის გარდა, მესწავლა მეგობრებთან ურთიერთობა, მესწავლა დასვენება..."

ალენ დელონი: „კეთილგონიერება მაძლევს საფუძველს, რომ გითხრა „მშვიდობით"... ჩვენი ქორწინება თავიდანვე განწირული იყო. ჩვენი პროფესიიდან გამომდინარე, ის არც შეიძლება ყოფილიყო ბედნიერი. გიბრუნებ თავისუფლებას და სამუდამოდ გიტოვებ ჩემს გულს!"

პარიზში რომის სახლთან ხვდება ვარდების დიდი თაიგული და მოკლე ბარათი - „მე და ნატალი მივემგზავრებით მექსიკაში. გისურვებ ყველაფერ კარგს".

1964 წლის აგვისტოში ალენ დელონმა იქორწინა ნატალი ბართელემთან. პირველ ოქტომბერს მათ შეეძინათ ვაჟიშვილი ანტონი ჟორჟ ალენი.

ალენი და რომი დაშორდნენ, როგორც საყვარლები, დანიშნულები, ცოლ-ქმარნი, მაგრამ ისინი ერთმანეთისაკენ მაინც ილტვოდნენ. ალენი ყოველთვის რომის გვერდით იყო, როდესაც მას უჭირდა სულიერად და ფიზიკურად.



ალენი უფრო და უფრო პოპულარული ხდება, მას გადასაღებად სხვადასხვა ქვეყნებში იწვევენ, მაგრამ ცხოვრებაში აქვს ერთი მთავარი როლი. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნების როლი რომი შნაიდერის ცხოვრებაში. ის მუდმივად მის გვერდით ჩნდება, ხან, როგორც მფარველი ანგელოზი, ხან, როგორც მაცდუნებელი ეშმაკი, მაგრამ ყველგან ის ალენია, რომლის გარეშე რომის ვერ წარმოუდგენია თავისი სიცოცხლე. „იგი იყო და დარჩა ყველაზე ძვირფას ადამიანად ჩემს ცხოვრებაში, იგი დღესაც ერთადერთი ადამიანია, რომლის იმედიც მე ყოველთვის მაქვს, - ამბობს რომი ათი წლის შემდეგ. - მხოლოდ ალენმა გამხადა მე ქალი. თუმცა, მან მიმატოვა და ამით დიდი ტკივილი მომაყენა, მაგრამ



ამ ფაქტმაც გარკვეული კვალი დატოვა ჩემი პიროვნების ფორმირებაში. დანარჩენი არ ითვლება...“

ალენთან დაშორების შემდეგ რომისთვის პარიზი აღარ იყო ერთადერთი ქალაქი, რომლის გარეშე მას ცხოვრება ვერ წარმოედგინა. ის ცხოვრობდა ბერლინში, ლონდონში, მადრიდში. აქ უფრო ნაკლებად გრძნობდა მარტოობას:

„ჩემი ცხოვრება ჯოჯოხეთს დაემსგავსა. შეიძლება მე კიდევ შევძლო სიყვარული, მაგრამ ამისათვის ძალების მოკრება დამჭირდება.“

მწვავე სულიერი ტკივილის განქარწყლება დაძაბული მუშაობის რიტმისა და განუწყვეტელი მოგზაურობის ფონზე ხდება. ასეთია მსახიობის ხვედრი. „...მხოლოდ გადასაღები მოედნის ჩირაღდნებს შეუძლია ის საფლავიდან ააყენოს“ და თუ რომის პირადი ცხოვრება ამ ორ წელიწადში ჰგავს „გამომშრალ მინდორს, რომელსაც არ ძალუძს ნაყოფიერება“, შემოქმედება მას ჩუქნის ახალ-ახალ გამარჯვებებს. ამას ხელს უწყობს პარტნიორობა მსოფლიოს სხვადასხვა ვარსკვლავებთან. რომის დიდება უფრო და უფრო იზრდება. პაპარაცები მუდმივად დასდევენ, რათა შეიტყონ მისი პირადი ცხოვრება, რომელიც რომის ფაქტობრივად არ გააჩნია. რომი გამოფიტულია და დათრგუნული მარტოობით. სწორედ ამ დროს მის ცნობიერებაში ილვიძებს ბავშვობა, ავსტრია, მშობლიური ლუგანი, დედა, როგორც მხსნელი და გატანჯული სულის ერთადერთი ნავსაყუდელი.

1965 წლის პირველ აპრილს მამინაცვალმა მოაწყო დიდი წვეულება ბერლინში ახალი რესტორნის გახსნასთან დაკავშირებით. რომის დედის, მაგდას დიდი მცდელობის შემდეგ, იგი საზოგადოებაში უაღრესად ლამაზი გამოჩნდა. შავი ხავერდის საღამოს კაბითა და ალმასის ყელსაბამით. დედა უაღრესად გახარებული და, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულიც კი დარჩა. მან არ იცოდა, რომის გადაწყვეტილება, დაენგრია მარტოობისა და გაუცხოების ბარიერი, რომელიც თვითონვე შეიქმნა ალენის ცბიერი ღალატის შემდეგ!..

მზეთუნახავ მსახიობს გარს ეხვია რეპორტიორები, რეჟისორები, პროდიუსერები, წვეულებაზე იყო ერთი მამაკაცი, რომელიც მთელი საღამოს განმავლობაში თვალს არ აშორებდა. დედამ გააცნო იგი შვილს. ეს იყო ჰარი მეიენი - გამოჩენილი გერმანელი მსახიობი და თეატრალური რეჟისორი. ამ საღამოს შემდეგ ჰარი არ მოშორებია რომის.

ჰარი მეიენი თორმეტი წელი დაქორწინებული იყო მსახიობ ალენიზ რომერთან. იგი ორმოცდაერთი წლისა იყო, რომი კი ოცდაშვიდისა. ჯერ კიდევ დაოჯახებულმა ჰარიმ რომის ცოლობა სთხოვა. მაგდა შოკირებული იყო. „14 წლით უფროსი და თანაც ცოლიანი. დაანებე თავი, რომი!“ - ეუბნებოდა შვილს. რომი, როგორც ყოველთვის, შეუცნობელი იყო.

- ვიფიქრებ დედა, - პასუხობდა ცივად.

ჰარი საერთოდ არ გავდა ალენს. რომის კი სურდა სიმშვიდე, საიმედო ადამიანი.

„... აქამდე ჩემს ცხოვრებაში არსებობდა მამაკაცი, რომელთანაც მე მსურდა მეცხოვრა, მაგრამ არ შემეძლო. თითქმის ექვსი წელი ვიყავი ალენთან ერთად, და მხოლოდ შემდეგ მივხვდი, რომ ჩვენ ერთმანეთისათვის არ ვიყავით დაბადებულნი. როდესაც გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე, ვიგრძენი, რომ მასთან მთელი ცხოვრება შემიძლია ვიყო. ალენთან ერთად გატარებული წლები იყო ველური, შეშლილი, შფოთიანი. ჰარისთან კი, როგორც იქნა, დავმშვიდდი. ცხრა თვის განმავლობაში არ მიმუშავია, მაგრამ ჩემში არ არის ის სიცარიელე, რომელიც ადრე მქონდა. ახლა შემიძლია წარმოვიდგინო, რომ ოდესღაც კინოსაც გამოვემშვიდობები.

1966 წელს ჰარი და რომი დაქორწინდნენ. რომი ხუთი თვის ფეხმძიმე იყო, ცოლ-ქმარი ბერლინში დასახლდა.

რომი ასე ახასიათებდა თავის მეუღლეს: „...ჰარი არის ინტელიგენტი, ზომიერი, მან ჩემს ცხოვრებაში შემოიტანა სიმშვიდე და იმედი. არ შეიძლება იგი არ გიყვარდეს. მას უდიდესი ევროპული იუმორი და გერმანელის რკინისებური ლოგიკა აქვს“.

1966 წლის სამ დეკემბერს დევიდ კრისტოფერი დაიბადა, მათი შვილი, რომელიც რომის ცხოვრების ყველაზე დიდი სიხარული და ყველაზე საშინელი ტრაგედია გახდა. რომის ეწვია მანამდე მისთვის უცნობი ემოციები. ის იყო არაჩვეულებრივი დედა - რაოდენ დიდხანს იყო მასში ეს გრძნობა მიმალული? ის მშვიდად არის, ბედნიერია და მადლიერი თავისი ქმრის, რომელმაც მას ეს სტაბილურობა, სიმშვიდე მიანიჭა. „საიმედობა, საიმედობა, ეს არის მისი მთავარი ღირსება. ეს არის ჩემი ბედნიერების საფუძველი. - იმეორებს რომი. - ჩვენ ძალიან ბედნიერები ვართ - ჩემი ქმარი, ბავშვი და მე.“

რომი სადღესასწაულო ვახშამს ამზადებდა ჰარის დაბადების დღესთან დაკავშირებით, როდესაც გაისმა ტელეფონის ზარი პარიზიდან. რეჟისორი ჟაკ დერე სთავაზობდა მას მთავარ როლს ფილმში „აუზი“. „შენ და მხოლოდ შენ შეგიძლია ამ როლის თამაში“, - არწმუნებდა რეჟისორი. ეკრანზე უნდა გათამაშებულიყო კამერული, ინტიმური ისტორია ორ ადამიანს შორის, რომელთაც ადრე უყვარდათ ერთმანეთი. ახლა კი შინაგანად გაღიზიანებულნი არიან და ტკივილს აყენებენ ერთმანეთს. მთავარ როლში - ალენ დელონს უნდა ეთამაშა. თავის პარტნიორად ამ ფილმში ალენი მხოლოდ რომის ხედავდა. ჟაკ დერე (რეჟისორი): „ჩემთვის ამ ფილმში მნიშვნელოვანი იყო მთავარი გმირი - ალენ დელონი. მისთვის ვეძებდი პარტნიორ ქალს, ისეთს, რომელმაც იცის ყველაფერი მის შესახებ, და შესძლებს მასზე მორალურ გამარჯვებას. ეს ყველაფერი ავუხსენი ალენს, მან კი რომი შემოგვთავაზა. მე შევეცადე მათი წარსულის გამოყენებას - ფილმში მათი ურთიერთობა უფრო ბუნებრივი იქნებოდა. მე მჭირდებოდა ისეთი წყვილი, რომელიც კარგად უყურებდა ერთმანეთს.“

ალენ დელონი: „რომი, რა თქმა უნდა, გამოიცვალა, მაგრამ მე არანაირად არ შემიძლია ამის გაცნობიერება... როდესაც ჩვენ ერთმანეთი გავიცანით, ის ძალიან ახალგაზრდა, პატარა გოგო იყო! მე ვთვლი, რომ ის გადაიქცა ქალბატონად. ახლა მე არ მყავს საყვარელი ქალი. მე უბრალოდ დროს ვატარებ გოგონებთან. თუმცა მაქვს სამუშაო, და მყავს შვილი. არ ვიცი, ძალიან გამოიცვალა თუ არა რომი ამ წლებში? მე მას იშვიათად ვხვდებოდი. ახლა ის ახალგაზრდა ქალია და ძალიან შეეფერება მორიონის როლი. ის, რომ ოდესღაც დანიშნულები ვიყავით, წარსულს ჩაბარდა. ჩვენ ერთმანეთი მხოლოდ სცენარის მიხედვით გვეყვარება.“

ჰარი მეიენი: „არ მესმის... არ მესმის, რატომ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა რომიმ ამ ფილმში? როდესაც ბოლომდე წავიკითხეთ სცენარი, დავწყნარდით. მე ვიქნებოდი შეწუხებული, რომ ფილმში რომის პარტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიორი მარლონ ბრანდო ან მისი მსგავსი მომხიბვლელი მამაკაცი ყოფილიყო. მაგრამ ალენ დელონი? ის უკვე დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა... მხოლოდ ბრწყინვალე რეკლამაა!..“

რომი შნაიდერი: „22-23 წლის ასაკში სულ სხვაგვარად იყო საქმე. მე არ ვიყავი ჩემს თავში დარწმუნებული. დღეს მე უფრო ძლიერი ვარ და არ ვაკეთებ იმას, რაც არ მინდა.

ეკუთვნოდე საკუთარ თავს, ეს დიდი კომფორტია. აღარ დავუშვებ შეცდომებს. ჰარისთან სიმშვიდე და დამაჯერებლობა მოვიპოვე.

... დელონი ძალიან კორექტულია. ამან ტკივილი არ უნდა მომაყენოს. ფილმში მიღებენ შავ ბიკინებში, მზეზე გარუჯულს. ყოველივე ეს წარსულის საუკეთესო დღეებს მაგონებს. რა სამწუხაროა, რომ ყველაფერი დამთავრდა.“

შეიძლება მას ასე გულწრფელად ვერ შეესრულებინა მორიონის როლი. გამოცდილი რეჟისორი არ შემცდარა. ამ როლისათვის საჭირო იყო გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილება.

„მე ვმუშაობდი ნამდვილ პარტნიორთან, მეტი არაფერი“, იტყვის რომი.

მაგრამ ვინ შეეცდება დაარწმუნოს პრესა, რომელიც ეჭვით უყურებს ამ ალიანსს და ელოდება სათანადო მომენტს, რათა გამოააშკარავოს მთავარი როლის შემსრულებელთა ნამდვილი ცხოვრება.

სკანდალი გაჩაღდა ფილმის პრემიერასთან ერთად. თავდაპირველად ფილმმა უდიდესი წარმატება მოიპოვა მთელს ევროპაში. პრემიერის დღეს კი მთელი გაზეთები აჭრელებული იყო რომის და ალენის ფოტოსერიებით, სადაც ისინი ნიცის აეროპორტში მხურვალედ ეამბორებოდნენ ერთმანეთს. მართლაც ეს ამბორი საოცრად თბილი და გულწრფელი იყო. ვერავინ იფიქრებდა, რომ მათი ურთიერთობა ხუთი წლის დამთავრებული იყო. მათი სახეები ფოტოზე ისეთი იდუმალი სიხარულითა და სინაზით გამოირჩეოდა, რომ გაზეთებს სხვა არაფერი დარჩენოდათ, გარდა იმისა, შეეთხზათ ვარაუდი ახალი სიყვარულის წამოწყებისა ან იმ სიყვარულის განახლებისა, რომელიც არასოდეს ჩამქრალა.



ჰარი მეინი იმედგაცრუებული და შეურაცხყოფილი იყო. მას იმდენად სჯეროდა რომის, თავად ურჩია როლზე უარი არ ექთვა. თუმცა მის ღალატში ბოლომდე დარწმუნებული არ იყო. მაგრამ პრესაში ატეხილი აჟიოტაჟი ძალიან აღიზიანებდა და აფორიაქებდა. ოჯახური იდილია თურმე მირაჟი ყოფილა. ქმრის წყენას რომი უსაფუძვლოდ მიიჩნევდა ისევე, როგორც პრესისა და რეპორტიორების უცერემონიო ჩარევას მის ცხოვრებაში. ყველაფერ ამას პირად შეურაცხყოფად თვლიდა.

„ჩვენ, მსახიობებს, არ გვაქვს დაბერების უფლება, ჩვენი ფიქრების გამოხატვის, სხვა ქვეყანაში წასვლის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში ფრანგთან ერთად ცხოვრების, მასთან დაშორების და შემდგომ მასთან ფილმში შეხვედრის უფლება... მე მეშინია სამყაროსი, რომელიც ასეთი უხეში და დაუნდობელია... როგორი რთულია და აუტანელია იყო მსახიობი და თანაც იარსებო“, - ამბობს ის მოგვიანებით.

სწორედ ამ პერიოდში რომი ეკრანზე ქმნის თანამედროვე ქალთა ისეთ სახეებს, რომელთანაც პიროვნულად ბევრი საერთო აქვს.

მაღალი ზნეობის, დაუცველი და დამოუკიდებელი, ტრაგიკული ბედის მქონე ქალები, დაუოკებელი სურვილით გასცენ და მიიღონ სიყვარული. მისი გმირები ურთულეს ვითარებაში თავისებურად ეძებენ გამოსავალს. ეწინააღმდეგებიან დამცირებას. გაურკვევლობას, ყველა მათგანი სიყვარულში უკომპრომისოა. ცხოვრების ამ ეტაპზე, მან კიდევ ერთ სერიოზულ გამოცდას გაუძლო, იგი მთელი თავისი არსებით მიეცა შემოქმედებას. წარმატება და მაყურებლის აღტაცება მას ახალი იმედებით ავსებდა, ძალას მატებდა. მას ჰქონდა ბევრი ახალი როლი, ახალი გეგმა. ის თვითონ აშენებდა საკუთარ მომავალს. იყო თუ არა იგი ამ დროს ბედნიერი, არავინ იცის.

ჰარი მეიენიც განქორწინებას ითხოვდა. აქ დასრულდა რომის ხანმოკლე ოჯახური ბედნიერება. დარჩა მხოლოდ სინანული, ამიტომ რომი ცდილობდა, მთლიანად მუშაობაში ჩაფლულიყო. „რომი აღარ თამაშობს, ის ცხოვრობს თავისი როლებით“.



ის გადაწყვეტს, თავი მიუძღვნას შვილს. ეს არის მისი გადარჩენის ერთადერთი შანსი, რადგან ცხოვრების ვერც ერთ თანამგზავრთან ვერ ჰპოვა ბედნიერება. ახლა ის დიდების ზენიტშია: საფრანგეთის უმაღლესი ჯილდო „ცეზარი“ „ჩვეულებრივი ისტორიისათვის“, პრეზენტაციები, პრემიერები ევროპის დედაქალაქებში...

რეჟისორი კლოდ როტე: „ის ისეთი ლამაზია, ეს არის სინთეზი შხამიანი შარმისა, ამაყი სულისა და ულამაზესი სხეულისა. ის მსუბუქია, როგორც მოცარტის ალეგრო. რომი უჩვეულო, არაორდინალური მსახიობია. მას აქვს ის, რაც მხოლოდ ვარსკვლავთა ხვედრია. მე ვნახე ის კამერის წინ - დაძაბული, იმპულსური, მას ძალან ბევრის მოცემა შეუძლია. მას აქვს უბერებელი სახე. ამ სახეს შეუძლია გამოხატოს ყველაფერი“.

1975 წლის გაზაფხულზე რომი ავად ხდება. მას თირკმლები აწუხებს. რომი შეშინებულია, მარტოა, უმწეოა. და, აი ამ დროს მის გვერდით ჩნდება ახალგაზრდა მამაკაცი - დანიელ ბიარინი, მისი მდივანი და ნდობით აღჭურვილი პირი. „... ერთადერთი ადამიანი, ვიზეც გავიფიქრე ტკივილის დროს, იყო დანიელი. დავურეკე მას და ვთხოვე, ექიმი მოეყვანა. ოც წუთში ექიმთან ერთად ის უკვე ჩემთან იყო. დანიელმა არაფერი მითხრა, მხოლოდ ხელი მომკიდა და მას შემდეგ აღარ მივუტოვებივარ. მივხვდი, რომ ის ჩემთვის შეუცვლელია“.

1975 წლის გაზაფხულზე რომი აღმოჩნდა თავისი ბედნიერების მოჩვენებით სასახლეში. ყველაზე ბედნიერ წუთებშიც კი ის პარალელს ავლებს დანიელსა და ალენს შორის. ალენ დელონი მისთვის მამაკაცის ეტალონია. „დანიელი ალენ დელონს მაგონებს, - წერდა რომი. - მას ალენივით დამოუკიდებელი ხასიათი აქვს, ისეთივე მომხიბვლელი და იუმორით სავსეა. დანიელ ბიარინი ერთადერთი მამაკაცია ალენ დელონის შემდეგ, რომელთანაც თავს ნამდვილ ქალად ვგრძნობ“. თუმცა თავის გრძნობას რომი სიყვარულს არ უწოდებს: „არ მინდა ვიყო მარტო. საბედნიეროდ, შემხვდა ადამიანი, რომელსაც ძალიან შევეჩვიე. მე

# ჯანსუღ ჩარკვიანი



## გული წაიღო ეკრანებზე მანჭვის ყურებამ

ლხინს აქვს ცრემლებიც და ამ ცრემლმა ლოყა მოცვარა,
ჩქარა დაირა, ჩქარა დოლი ხელმიტაცებით.
პიედესტალზე შემდგარ მარტის მოსალოცავად
ცისფერ ეკრანებს შეესიენ ჩვენი კაცები.

ამათ უყურე, მიეძალა თვალს სასეირო,
ვერ დარჩენილან თავთავიანთ როლში მარტონი.
ლხინი ლხინია, ნამეტნავად ლაღად ზეიმობს
განსაკუთრებით უცხოელი ცოლის პატრონი.

ბაღჩა, აუზი, მოლიანი ეზო-მიდამო,
ბზინავს ეკრანი, ამაყობენ ქმრები ცოლებით...
ვის რა აკლდება?.. იბაასონ, იბჭონ, იდაონ,
ოღონდ რიგ-რიგით, წესის დაცვით და მიყოლებით.

ქმარი თამამობს, მიაჩნია ცოლის ღირსებად,
რომ მაცივარში საგანგებოდ აქვს შენახული
ის ყველაფერი, რითაც ქმრისთვის სუფრა ივსება -
რა თევზეული, რა ხორაგი, ღვინო კახური.

ერთი ზამთარში გუდიაშვილს დაუხატია,
ფრთებით მეორეს შიშველ მკერდზე ჩრდილს ახურავენ,
მაგრამ ერთისთვის თუ ეს მარტი ჭინჭყლი მარტია,
მეორესათვის რატომაა ასე მცხუნვარე?..

ქალი ქალია, ქერა თმები ქალებს გაშლიათ
და კოინდარში დასუნსულებს ჭრელი მწევარი...
მაყურებელმა კარგად იცის, ეს თამაშია
და ოცნებაა ზოგისათვის მიუღწევარი.

გესლი მეტია უეჭველად მაინც ამაში,
ფრთხილად, სიცილმა ირონია არ გაართულოს,
რადგან სიცილიც უადგილო არის თამაში,
გაჭირვებული კაცის სულში როცა ფათურობს.

და ეს ასეა, მეყასბე რომ ოქროს აწონის
და რომელიღაც ენაბრგვილი ხდება ენამზე.
ისიც არაა ქალებისგან ხომ მოსაწონი,
აფრიალებდნენ მოდურ კაბებს გამოფენაზე.

მოუძღვებიან, მოჰყვებიან ხმები ქარავანს
ტელევიზორის სინათლეში, ჩათლილ ღარებში,
ჩვენ კი ისეთი ჩაგმანული ჭერი არა გვაქვს,
რომ ჩვენს სიმშვიდეს არ არღვევდეს მათი თარეში:

ჭორი, რომელიც მოდებული შქერში ობია,
ჭორი, რომელსაც სიკეკლუცე ახშობს ფარული,
და, რა თქმა უნდა, ბოროტ ენებს ლექსი სჯობია,
თუნდაც უბრალო მოხალისის და მოყვარულის.

თვითონ იცოდნენ, ვინმეს შუქი თუ მოაჩრდილონ,
თუ ეკრანებზე გაჩნდებიან ზოგან ლაქები...
იქნებ ჰგონიათ ქვეყნისათვის უფრო საჭირო,
მათ მანჭვა-გრეხას უყურებდნენ მოქალაქენი.

ამდენ ხმებიდან აღარაა ერთიც სამოყვრო
და ხრავს ვიღაცას შურისჭია, ბოლმა ბოლომდე.
სასაცილოა, კუმ ბაკნიდან ფეხი გამოჰყოს,
თავხედობაა, ქონდრის კაცი ლომთან ლომობდეს.

ო, ეს ხმაური... ასე იცის ყინვის გაზრობამ,
ცომის ნაზელმა, რომ აბია ზოგ თავს ყურებად.
- ფარდა დაუშვით და იაფი მორჩეს ბაზრობა,
გული წაიღო ეკრანებზე მანჭვის ყურებამ.

ვის რად სჭირდება დამპალ ბიის ფერი მუმია,
ჩვარი, ჩუჩელა, კაცურად რომ ფიქრს ვერ მიაჩვევს.
შენ ხმას არ იღებ, შენ ჩუმდები... ეს სიჩუმეა
შენი ყველაზე დიდი ცოდვა, იქნებ სილაჩრეც.

სულში გაჩენილ აურჟოლებულ დუმილს მიჰყევი,
რაც სათქმელია, ისიც ითქვას უნდა აშკარად.
- ნუ იმანჭებით ეკრანებზე, ნუ იგრიხებით,
თუ კაცები ხართ,
ძარღვში სისხლი თუ არ დამშრალა....

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შავმა ნისლმა შავ-შავმა

მდურვით ჩამოხედული
ცა გულს დაებურება.
მე სხვას როდი ვემდური,
ვერც სხვა დამემდურება.
ყველაფერი წაიღო
მშრალ დღეების ყურებამ.

ჰეი, ჩემი პატარა
ქვეყნის სიპატარავევ,
სად ხვდებიან, სად არა,
გზები მტვრიან ქარავნებს,
ვერ ერევი, ეტყობა,
შვილებს მიტომ გპარავენ.

ზღვაზე ნიჩბის ჩქაფანით
გამოდიან ნავები,
აფრებს მოაქვთ ღამეში
ხმები გულსაკლავები...
გულო, ან სულ აეშვი,
ან დადექ და დაები!

ჩვენი მამელუკების,
ჩვენი ხვიჩას ხმებია,
სამშობლოსთვის ურგები
გზებით იკარგებიან,
სადაც უნდა რგებოდათ,
მიწა იქ არ რგებიათ.

ფოთლის ფერი წაშალა
ხეზე ნისლის ფოფინმა,
შავმა ნისლმა შავ-შავმა
ტყე-ღრეები მოჰფინა...
ჰეი, საიკაძის დრო
მონაგონი ყოფილა!

## ჩემი ქუდი სვანური

ის არაა ჩიტის ბუდის,
ბეწვი სიასამურის...
ქართულია ჩემი ქუდი,
ჩემი ქუდი სვანური.

ცისკენ ცელით გავემართე
თუ მთებზე ავდიოდი,
დამანთებდა მხარზე სანთლებს
ჩემი წმინდა გიორგი.

საამოა ფრენა მუდმივ
თეთრი ცხენის თქარუნით...
ქართულია ჩემი ქუდი -
ქართული და სვანური!

ნედლი თივის სუნი უდის,
რაშოვ-რერა, რანუნი...
ჩემი ქუდი, ჩემი ქუდი,
ჩემი ქუდი სვანური!

## ძილი კი არა, ხმაური მოდის

ასე მწვანდება ბუჩქი და კორდი,
ასე ილვიძებს მიწა დახნული.
გაზაფხულს კვალში მოსდევს ზაფხული
და შემოდგომა ზამთრის წინ მოდის.
ასე მწვანდება ბუჩქი და კორდი
და ყოველივე ადრე ნახული.

სხვა ფერებშია დრო საღამომდის
აუტანელი ასე, ნახევრად
ყოველდღიური თვალის გახელა
და გაფიქრება: ის მართლა მოდის,
რომ მოგაშოროს ტვირთი ამხელა,
ბოლო მოუღოს დამტანჯავ ლოდინს.

ძილი კი არა, ხმაური მოდის,
როცა გრძნობ ტანზე ცეცხლის მოდებას,
როცა ბალახი წელში სწორდება,
როცა მწვანდება ბუჩქი და კორდი
და ის, რაც იყო, რომ მეორდება...

აგრეთვე ამდენი ქვეშევრდომი და მოყვარე ჰყავს თვით „ქვემდგომთა“ შორის! ამიტომ, სწორედ რომ დროულია - არ დასჯერდე - როგორც ყველა ჭკუათმყოფელი - მხოლოდ კეთილმეზობლურ, თანასწორ ურთიერთობას, არამედ სასწრაფოდ უნდა შეგროვდეს ხელისმოწერები იმის ნიშნად, რომ „ქვემდგომი“ ნამდვილად არ უმღვრევს წყალს „ზემდგომს“! თან ძმობის და სიყვარულის დასტურად ხმატკბილად უგალობებს: „ალადუშკი, ლადუშკიო“!

როგორც ცნობილია, დედის ნამღერ ნანას უზარმაზარი ფსიქოლოგიური ზეგავლენა აქვს ჩვილზე. ამას იაკობ გოგებაშვილის გენიალური „იავნანამ რა ჰქმნაც“ ადასტურებს - ქართველი, სომეხი, რუსი, ებრაელი და სხვები, ბუნებრივია, თავის „ლადზე“, ე.ი. კილოზე უმღერიან პირმშოს და ბავშვიც, დედის რძესთან ერთად, იწოვს ხოლმე ამ ჰანგს. არ ვიცი, ჩვენს ზოგ პარლამენტარს, რა კილოზე უმღეროდა დედა „იავ-ნანას“, მაგრამ „ალადუშკი, ლადუშკი“ რომ ძალიან ემარჯვებათ, ამას დიდი ლარი და ხაზი არ სჭირდება. იმასაც არ სჭირდება დიდი მიხვედრა, რომ სიყვარული, ძმობა და მეგობრობა - საზიარო უნდა იყოს და არა - ცალმხრივი (სხვათა შორის, მარჯორი უორდროპისთვის არავის უმღერია ქართული „ნანა“, მაგრამ საქართველოს სიყვარულში დალია სული! თურმე გააჩნია, ვის რა მადლი სცხია ღვთისგან!) არც ტოლერანტობა გვესწავლება და არც თანადგომა - ჭირსა თუ ლხინში. არც უმადურობას დაგვწამებს ვინმე. უფრო პირიქით. როგორც ცნობილია, ნაპოლეონის წინააღმდეგ თორმეტი ქართველი გენერალი იბრძოდა, თუ არ ჩავთვლით პეტრე ბაგრატიონს! ხოლო ილიას თქმით, „გაჭირვების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არაერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მის წინამძღვრობით და სახელით ქართველობას არაერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად“... ამ დროშას, „აწინდელი ქართველი იმავე ვაჟკაცობით და თავგამეტებით გაჰყოლია და რუსებთან ერთად სისხლი უნთხევია“... ხოლო რუსი მოხელეების მიერ მისი მოხსენიება უდიერად: „უპატიურად ხდის მთელს ერს, რომელიც შეჰფარებია რუსეთს თავის პატიოსნებისა და ღირსების დასაცველადა. ესღა დაგვრჩა ნუგეშად მის იმედისა დიდისა!“ (აღარაფერს ვამბობთ მე-2 მსოფლიო ომში ქართველების მიერ გამოჩენილ გმირობასა და სიმამაცეზე, იმ დაღუპულთა რიცხვზე, პროცენტულად რომ ყველას სჭარბობს!)

ასეა თუ ისეა, რუსი „დერჟავნიკების“ წყალობით, ეს ორჯერ ანექსირებული, მრავალჯერ დაბომბილ-დაგლეჯილი, დასახიჩრებული და სისხლმდინარე „არშემდგარი ქვეყანა“ - ცალკე საკუთარი უძღები შვილებისგან დაძიძგნილი და გაყვლეფილი, უამრავი ერთმანეთის მოძულე პარტიებით თუ ფრაქციებით, სამთავრობო თუ არასამთავრობო საზოგადოებებით, ე. წ. ნაციონალური მოძრაობით თუ „თავისუფალი“ ინსტიტუტებით, სექტებით თუ კლანებით, ოლიგარქებით თუ მაფიოზებით „დამშვენებული“ - ჯერჯერობით მაინც საქართველოდ წოდებული - თუკი სურს, რომ სულს ღაფავდეს, სასწრაფოდ უნდა ჩაეხუტოს თავის „უფროს“ ძმას, რადგან იგი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს, ძია სემის მფარველობაში მის ყოფნას, ანუ... მავანთა აზრით, ნაკლები ბოროტება უნდა არჩიოს დიდ ბოროტებას. მით უფრო, რომ ხალხისთვის, უფრო სწორად, კრავისთვის ბოლოსდაბოლოს სულერთია - რომელი გააძრობს ტყავს - „მშობლიური“, შეჩვეული, გარეული მგელი, თუ მგლისფერი ძაღლი! თან... გზადაგზა უცილობლად, უსათუოდ, ყოველ მიზეზგარეშე უნდა ვიმღეროთ: „ალადუშკი, ლადუშკი“. ანდა „ქალაქურ“ კილოზე ავეტიკასავით ვიღიღინოთ, „იავ-ნანოვ, ვარდო ნანოვ“, ან... ეგების სულაც ინგლისურად სჯობდეს სულთათანა საფლავთან, ჩვენივე ხელით რომ ვუთხრით საკუთარ სამშობლოს - ერთმანეთის ჯიბრით, პირადული ინტერესებითა და კეთილდღეობის მოპოვების სურვილით გონდაბნელებულები - სხვათა და სხვათა საამებლად და გულის გასახარად!

დიახ. ნაცვლად იმისა, რომ მსოფლიოს გასაგონად, განგაშის ზარს ვარისხებდეთ - თუ რა გვჭირს, ვისგან გვჭირს, ანუ ვერაგულად წართმეული რეგიონების დასაბრუნებლად ძალ-ღონეს არ ვიშურებდეთ - პირიქით, ერთობლივი ძალისხმევით, უფსკრულში გადასაჩეხად ხელსა ვკრავთ ქვეყანას, რათა, ილიას თქმითვე, ყვავ-ყორნებმა დაძიძგნონ და გამოხრან მისი ძვლები.

აფერუმ, თქვენ ქართველებოო! - იქედნურად ქირქილებენ შინაური თუ გარეშე „გულშემატკივრები“ (დასავლეთუმებისა და რუსეთუმების ჩათვლით!) და სიამოვნებით იფშვნეტენ ხელებს: ამათ, მართლა დიდი დღე არ უწერიათო!

... „რა ხდება ღვთისშობლის საუფლისწულოში?“ - (ასე ეძახდა თავის დედულ-მამულს აკაკი), ვკითხულობდი ერთ ჩემს ადრინდელ წერილში, შეშფოთებული ყოველივე იმისგან, რაც ჩვენში ტრიალებდა, დღეს პასუხად ისმის: ჩვენ არ აღმოვჩნდით ღირსი დამოუკიდებლობის, თავისუფლების და ამდენად, ეს „არშემდგარი ქვეყანა“ - რუსეთუმების დასკვნით - მსოფლიოს პოლიტიკური სარბიელიდან უნდა გავიდეს და... კვლავ თავის ძველ და შეჩვეულ ჭირს, ანუ დერჟავას დაუბრუნდესო, ანუ კვლავ „მგელკრავიანას“ პერსონაჟად, კერძოდ, კრავად ანუ შეხრამუნების ობიექტად იქცეს და არა დასავლეთუმეების „აღთქმული ქვეყნის“ უბადრუკ მიმბაძველადო!

„მგელკრავიანას“ კი, მოგეხსენებათ, ჭირდება არა მხოლოდ პირველი ან მეორე ხმა, არამედ... მესამეც - მობანეებითურთ, რაც ცხადია, არ დაგვაკლდება. არც შესანდობარს დაგვამადლიან მავანნი და მავანნი.

ჰოდა, ჩაკვრეხა-ჩატკვერვის წინ კრავმა მგელს რომ სამადლობელოდ უმღეროს „ალადუშკი, ლადუშკი“-ო, ან თუნდაც „ბაი-ბაი“-ო - სულაც არ უნდა იყოს მოულოდნელი ან საკვირველი. პირიქით, ეს ყველაფერი კარგად ჯდება უხილავი რეჟისორის (თუ რეჟისორების?) ჩანაფიქრში.

ისე, რაც ამ ბოლო დროს მოხდა კოდორში, ჩემი აზრით, „მგელკრავიანას“ სიუჟეტისთვის ფრიად დამახასიათებელი ეპიზოდთაგანია, რომელიც ამჯერად, შემკვეთის სურვილის მიუხედავად, ჩვენთვის კეთილად დასრულდა. მაგრამ... როგორც ვიცით, მგელი არ მოშლის მგლობასა... თუმცა, ესეც კია - „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო“.

***PS**. ახლახან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ თავის სესიაზე მიიღო დაახლოებით ასეთი შინაარსის დადგენილება: მგლის თავზე სახარების კითხვა არამცდაარამც არ ეგებისო. მგელს ისე უნდა მოექცე, როგორც მას შეეფერებაო. მე პირადად, სულით და გულით ვუერთდები ამ „დადგენილებას“ და დავამატებდი ვაჟას სიტყვებს: „ვისაც ჩვენ არ ვებრალებით, ჩვენ შევიბრალოთ რისადა?“*

*მარტი-აპრილი*

საზოგადოებრივ-პოლიტიკური
და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

# ქართული

შემოქმედებითი პროექტის
ხელმძღვანელი
**ჯანსუღ ჩარკვიანი**

გამომცემელი
**თამარ ჩარკვიანი**

მხატვარ-დიზაინერი
**ნანა გერასიმოვა**

კომპიუტერული მომსახურება
**ამირან ქინქლაძე**
**ალიკო კახნიაშვილი**

კორექტორი
**ცისანა სიჭინავა**

ტექნიკური რედაქტორი
**იამზე შარიქაძე**

სარედაქციო საბჭო:

პასუხისმგებელი მდივანი
გულნარა გახტაძე,

ვასილ გვეტაძე
ციალა არდაშელია
დინარა ნოდია
ნუნუ კუპრეიშვილი
ნატა თათარაშვილი
ზურაბ კვანტრიშვილი
თედო ნინიძე
ელდარ შენგელაია
ზურაბ წერეთელი
თამაზ ჭილაძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა